

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის
(გაერთიანებული - ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიასთან)
სხდომის ოქმი
№-94**

ქ. თბილისი; 19 ოქტომბერი, 2021 წ. 13:00 სთ.

სხდომას ესწრებოდნენ:
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრები:

ლევან ქორქოლიანი (თავმჯდომარე)

გიორგი ჩაკვეტაძე
ავთანდილ ცინცაძე
ალექსანდრე ხუჯაძე
ნინო რუხაძე
ქეთევან მამულაშვილი

მოწვეული პირები:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი –
გაიოზ თალაკვაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის
მოადგილე - **ლევან მიქავა**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს უფროსის
მოადგილე – **მარიამ კვერნაძე**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების
სააგენტოს უფროსის მოადგილე – **ოთარ ჩიტიძე**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების
სააგენტოს უფროსის მოადგილე – **ვასილ აბულაძე**

სხდომის თავმჯდომარე:

ლევან ქორქოლიანი
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის
უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე

დღის წესრიგი

1..„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების „შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების „შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;

2..ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების „შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებაში ცვლილების „შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების „შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის N71-134 დადგენილებაში ცვლილების „შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;

4. „ქალაქ თბილისში, დიღმის სასწავლო-საცდელ მეურნეობაში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 4000 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.72.14.009.663) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

5. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის მე-4 მიკრო/რაიონში, №102 საჯარო სკოლის მიმდებარედ 6000 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.14.16.008.146) და ქალაქ თბილისში, ლისის ტბის მიმდებარედ 8975 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა ნაგებობების (N1,N2,N3,N4,N5,N6,N7) (საკადასტრო კოდი: N01.14.16.008.045) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

6. „ქ. თბილისში, დიღმის სასწავლო საცდელი მეურნეობა; ქ.თბილისში, დიღმის სასწავლო საცდელი მეურნეობის მიმდებარედ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 7000 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.72.14.009.659) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

7. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ თბილისში, ომარ სიზანიშვილის ქუჩა, N139-ში მდებარე 900 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N72.13.02.581) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

8. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „არქი ინვესტს“ (ს/ნ 404954046) შორის 2018 წლის 6 თებერვალს გაფორმებული „უმრავი ქონების გაცვლის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულების 5.9 პუნქტით

გათვალისწინებული პირობის გაუქმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

9. „ქ. თბილისში, განსაზღვრული მიწის ნაკვეთების შეს „PP“-სთვის (ს/კ:404922474) პირდაპირი განკარგვის წესით, აღნაგობის უფლებით გადაცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2014 წლის 8 მაისის N12.17.575 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი საკრებულოს განკარგულების პროექტი;

10. „ქალაქ თბილისში, სამგორის ქუჩა N16-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.11.014.005.01.516) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

11. „ქალაქ თბილისში, ვლადიმერ ლობჟანიძის ქუჩა N18-ში მდებარე 58.92 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.17.12.022.061.01.504) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

12. „ქალაქ თბილისში, შანდორ პეტეფის ქუჩა კორპუს N11-ში მდებარე 68.18 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.17.10.005.004.01.001) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

13. „ქალაქ თბილისში, ვაზისუბნის IV მიკრორაიონის I კვარტალის კორპუს N21-ში მდებარე 68.48 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.17.07.031.004.01.022) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი“;

14. „ქალაქ თბილისში, ელდარის ქუჩა N12-ში კორპუს N1-ში და კორპუს N2-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.20.026.027) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი“;

15. „ქალაქ თბილისში, ფონიჭალის დასახლება 3-ის კორპუს N17-ში (საკადასტრო კოდი: N01.18.13.024.006.01.067) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

16. „ქალაქ თბილისში, გზატკეცილი N28a-ში (საკადასტრო კოდი: N01.18.12.010.006.01.059) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

17. „ქალაქ თბილისში, ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩა N44-ში მდებარე 83.37 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.14.05.003.009.01.511) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

18. „ქალაქ თბილისში, ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩა N48-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.05.003.007) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
19. „ქალაქ თბილისში, გახოკიძის ქუჩა N79-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.003.013) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
20. „ქალაქ თბილისში, დაბა კოჯორში, იუნკერთა ქუჩა N37-ში მდებარე 45.80 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N81.01.06.342.01.005) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
21. „ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, დავით გურამიშვილის ქუჩა N6-12-ში არსებული 57.74 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.15.07.003.059.01.001) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
22. „ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, ბესივის ქუჩა N9-ში მდებარე 62.91 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.15.07.003.056.01.001) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
23. „ქალაქ თბილისში, ზღვისუბნის დასახლების მე-11 მიკრორაიონის მე-2 კვარტლის კორპუს N21ა-სა და კორპუს N21ბ-ში (საკადასტრო კოდი: N01.12.02.020.004 და N01.12.02.020.020) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
24. „ქალაქ თბილისში, ყვარლის ქუჩა N103-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.08.025.002.01.510) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
25. „ქ. თბილისში, მამა გურიელის ქ. N5ა-ში მდებარე ფართების (ს/კ: 01.14.15.001.300.03.005ა; 01.14.15.001.300.03.03.518) პირდაპირი განკარგვის წესით ა(ა)იპ - ეკოსოციალური უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
26. „ქ. თბილისში, კოსტავას ქ. N54-ის მიმდებარედ არსებული 50 კვ.მ. მიწისნაკვეთის (ს/კ: 01.15.03.009.020) ტერიტორიიდან 30 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ბადაგონის სახლისთვის“ (ს/კ: 405293926) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

27. „ქ. თბილისში, რუსთაველის გამზირი N36-38-ის მიმდებარედ არსებული 68 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.15.05.009.026) ტერიტორიიდან 10 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „რუსთაველი 36“-ისთვის (ს/კ: 406190376) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
28. „ქ. თბილისში, შარტავას ქ. N3 (ს/კ N01.10.13.015.112), შარტავას ქ. N1 (ს/კ N01.10.13.015.114), პეტრე იბერის ქ. N6, კორპუსი 14, (ს/კ N01.10.06.001.115), აკ.ბაქრაძის ქ N16 (ყოფილი მარშალ გელოვანის გამზირი N1a-1ბ, დიღმის მასივის II კვარტლის მიმდებარედ, (ნაკვ. 25/29), (ს/კ N01.10.10.025.029), კოსმონავტების ქ. N45-47-49 (ს/კ N01.13.05.004.173, 01.13.05.004.059, 01.13.05.004.142), ბოხუას ქ. N10 (ს/კ N01.13.02.005.006), მარიჯანის ქ. N2 (ს/კ N01.14.03.039.007) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ (ს/კ 204460957) და შპს „ისანი 1“-ის (ს/ნ 402036658) (შპს „EPIC DEVELOPMENT“ (ს/ნ 400034850)) მიმართ, მისამართზე - ქ. თბილისი, ქუჩა ჩოლოფაშვილის, კვარტალი II, კორპუსი N1-ის მიმდებარედ (ს/კ N01.17.14.003.706) არსებულ მიწის ნაკვეთზე მდებარე სამშენებლო ობიექტთან მიმართებაში ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
29. „ქ. თბილისში, შარტავას ქ. N3 (ს/კ N01.10.13.015.112), შარტავას ქ. N1 (ს/კ N01.10.13.015.114), პეტრე იბერის ქ. N6, კორპუსი 14, (ს/კ N01.10.06.001.115), აკ.ბაქრაძის ქ N16 (ყოფილი მარშალ გელოვანის გამზირი N1a-1ბ, დიღმის მასივის II კვარტლის მიმდებარედ, (ნაკვ. 25/29), (ს/კ N01.10.10.025.029), კოსმონავტების ქ. N45-47-49 (ს/კ N01.13.05.004.173, 01.13.05.004.059, 01.13.05.004.142), ბოხუას ქ. N10 (ს/კ N01.13.02.005.006), მარიჯანის ქ. N2 (ს/კ N01.14.03.039.007) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ (ს/კ 204460957) და შპს „გუმბათი ჰოლდინგის“ (ს/ნ 404473431) მიმართ, მისამართზე - ქ. თბილისი, მიხეილ თამარაშვილის გამზირი N13თ (ს/კ N01.10.16.004.199) არსებულ მიწის ნაკვეთზე მდებარე სამშენებლო ობიექტთან მიმართებაში ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
30. „ქ. თბილისში, შარტავას ქ. N3 (ს/კ N01.10.13.015.112), შარტავას ქ. N1 (ს/კ N01.10.13.015.114), პეტრე იბერის ქ. N6, კორპუსი 14, (ს/კ N01.10.06.001.115), აკ.ბაქრაძის ქ N16 (ყოფილი მარშალ გელოვანის გამზირი N1a-1ბ, დიღმის მასივის II კვარტლის მიმდებარედ, (ნაკვ. 25/29), (ს/კ N01.10.10.025.029), კოსმონავტების ქ. N45-47-49 (ს/კ N01.13.05.004.173, 01.13.05.004.059, 01.13.05.004.142), ბოხუას ქ. N10 (ს/კ N01.13.02.005.006), მარიჯანის ქ. N2 (ს/კ N01.14.03.039.007) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ (ს/კ 204460957) და შპს „ბი ეი ეს გრუპ“-ის (ს/ნ 405432893) მიმართ, მისამართზე - ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქ. N6 (ს/კ N01.14.06.008.313) არსებულ მიწის ნაკვეთზე მდებარე სამშენებლო ობიექტთან მიმართებაში ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

31. „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;
32. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სამგზავრო გადაყვანის მომსახურების ინტეგრირებული სისტემის დანერგვის, რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (M2 და M3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის გაცემის ფასის განსაზღვრის, ნებართვის მაძიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის გამოვლენის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობებისა და ნებართვის გაცემის ფასის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-82 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;
33. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამართალდარღვევისას (რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M3 კატეგორიის ავტობუსით მგზავრების უბილეთო მგზავრობა, აგრეთვე ათიდან თექვსმეტი წლის ასაკამდე ბავშვების უბილეთოდ წაყვანა) საჯარიმო ქვითრის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შედგენის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშების, გასაჩივრებისა და ზემდგომ ორგანოში გადაგზავნის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-70 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და დამსწრე წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგის პროექტი.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის მიერ ერთხმად იქნა დამტკიცებული სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილემ – ოთარ ჩიტიძემ, კომისიათა გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, სხდომის დღის წესრიგის, რიგით – პირველ ღონისძიებად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, განსაზღვრული, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების რაც ითვალისწინებს, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანას.

ოთარ ჩიტიძის განმარტებით, დადგენილების პროექტით წარმოდგენილი ცვლილების ფარგლებში, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მე-3 პუნქტს „ო“ ქვეპუნქტის შემდეგ, უნდა დადგენილების დანართი N2-ის 72-ე მუხლის მე-3 პუნქტს „ო“ ქვეპუნქტის შემდეგ, უნდა დაემატოს შემდეგი შინაარსის „პ“ ქვეპუნქტი:

„პ. სასწავლო, სამედიცინო, სამეცნიერო-კვლევითი, კულტურული, სახელმწიფო დანიშნულების ობიექტების მშენებლობის პირობით სახელმწიფოს/მუნიციპალიტეტის მიერ განკარგული მიწის ნაკვეთების სამშენებლო განვითარება.“

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი პროექტით გათვალისწინებული ცვლილების გულისხმობს იმას, რომ დანართი 1.11-ით (შემდეგი რიგის ქალაქებებითი არეალების გულისხმობს) განსაზღვრულ არეალებზე დროებითი შეზღუდვის პერიოდში დასაშვები ხდება იმ რუკა განსაზღვრულ არეალებზე დროებითი შეზღუდვის პერიოდში დასაშვები ხდება იმ მიწის ნაკვეთების განვითარება, რომლებიც განკარგულია სახელმწიფოს ან მუნიციპალიტეტის მიერ, სასწავლო, სამედიცინო, სამეცნიერო-კვლევითი, კულტურული, სახელმწიფო დანიშნულების ობიექტების მშენებლობის პირობით.

ოთარ ჩიტიძემ დასძინა, რომ დადგენილების პროექტი მოწონებულ იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ, შესაბამისი განკარგულებით, ხოლო, დადგენილების პროექტი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ, დამტკიცების შემთხვევაში, ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ ლევან ქორქოლიანმა ისაუბრა პროექტის სამართლებრივი დასაბუთების ნაწილში „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის კონკრეტული – მე-4 პუნქტის მითითების, ხოლო, პროექტის პრეამბულას შესაბამისი რედაქციით ჩამოყალიბების მიზანშეწონილობის საკითხებზე.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილემ – ოთარ ჩიტიძემ, კომისიათა გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, სხდომის დღის წესრიგის, რიგით – მე-2 ღონისძიებად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, რაც ითვალისწინებს, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებაში ცვლილებების შეტანას.

მომსხვებლის განმარტებით, განხილვისა და დამტკიცების მიზნით, წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ორი დადგენილების პროექტი, რომლებიც მოწონებულია, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 24 მარტისა და პირველი ოქტომბრის შესაბამისი განკარგულებებით და ითვალისწინებს შემდეგ ღონისძიებებს:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 24 მარტის განკარგულებით მოწონებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტით წარმოდგენილი ცვლილების ფარგლებში, კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებულთა დაკამაყოფილების მიზნით, მუნიციპალიტეტის მიერ გამოყოფილი/გადაცემული მიწის ნაკვეთების სამშენებლოდ განვითარება განაშენიანების რეგულირების გეგმის დამუშავების გარეშე შესაძლებელი ხდება იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც არსებობს ამის კანონით დადგენილი საფუძვლები. აღნიშნული უზრუნველყოფს კოოპერატივებისთვის გადაცემული მიწის ნაკვეთების სამშენებლო განვითარებისთვის წინააღმდეგობების მოხსნას და კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებულ პირთა მაქსიმალურად მოკლე ვადებში დაკამაყოფილებას;

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ 2021 წლის პირველი ოქტომბრის განკარგულებით წარმოდგენილი დადგენილების პროექტის ფარგლებში, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესებში ხორციელდება შემდეგი ცვლილებები:

2.1 განაშენიანების რეგულირების წესების 21-ე მუხლის მე-7 პუნქტში შესატანი ცვლილებით ზუსტდება ის კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონები, რომელზეც ვრცელდება საგამოხაკლისო წესი განაშენიანებისა და გამწვანების პარამეტრების ფაქტობრივ დარღვევასთან დაკავშირებით. კერძოდ, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ შემდეგ დარღვევასთან დაკავშირებით. კერძოდ, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ შემდეგ და განაშენიანების რეგულირების ზონა - ზონებში - ისტორიული განაშენიანების დაცვის ზონა და განაშენიანების რეგულირების ზონა - ფუნქციური ზონით დადგენილი განაშენიანების და გამწვანების პარამეტრები არ გაითვალისწინება, თუ შენობა-ნაგებობას ჰქონდა ან ფაქტობრივად აქვს აღნიშნული პარამეტრები დარღვეული;

2.2 იმის გათვალისწინებით, რომ წესების 31-ე მუხლის 6¹ პუნქტი ემსახურება „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გეგმის ტექსტური ნაწილის“ 72-ე მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ქალაქებებით არეალში (ვარკეთილის მასივი) არსებული მიწის ნაკვეთების სამშენებლოდ განვითარებას, ხოლო, აღნიშნული არეალი არის სპეციალური რეგულირების საგანი, ავარიული შენობა-ნაგებობების ჩანაცვლებისა და

სხვა სოციალური ვალდებულებების შესრულების მიზნით, ქალაქ თბილისის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია დაშვებულ იქნეს მსგავსი გამონაკლისები დააღნიშნულიდან გამომდინარე, 31-ე მუხლის 6¹ პუნქტს ემატება პუნქტი, რომლის მიხედვითაც დასაშვები ხდება განაშენიანების რეგულირების წესების 31-ე მუხლის მე-6 პუნქტით განსაზღვრული Y-ის განსხვავებული მნიშვნელობების დადგენა.

მომსენებელმა დასძინა, რომ პროექტების მიღება არ გამოიწვევს ბიუჯეტიდან აუცილებელი ხარჯების გამოყოფას, არ მოახდენს გავლენას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯით ნაწილზე.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ ლევან ქორქოლიანმა ისაუბრა პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის აღნიშვნის, ასევე, პროექტის შესაბამისად, წესების მე-8 მუხლის მე-5 პუნქტის შემდეგ დასამატებელ მე-5¹ პუნქტში საკრებულოსთან შეთანხმების საკითხის ჩამატების და მე-5¹ პუნქტის შემდეგი რედაქციით ჩამოყალიბდეს მიზანშეწონილობის საკითხებზე:

„5¹. ამ მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტებით დადგენილი მოთხოვნები, არ გავრცელდება კომერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებულთა დაკმაყოფილების მიზნით მუნიციპალიტეტის მიერ გამოყოფილი/გადაცემული მიწის ნაკვეთების სამშენებლო განვითარებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის წარდგინებით, ქალაქ განვითარებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წინასწარი თანხმობის შემთხვევაში.”

კომისიის თავმჯდომარემ ასევე აღნიშნა, რომ ვინაიდან, შესათანხმებლად წარმოდგენილია, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების ორი პროექტი, მიზანშეწონილია წარმოდგენილი ცვლილებების შესაბამისად მომზადდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების ერთი პროექტი, რომელშიც სრულად იქნება გათვალისწინებული წარმოდგენილი ცვლილებები.

საკითხის წარმოდგენმა გაიზიარა კომისიის მიერ გამოთქმული შენიშვნები და მოსაზრება.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნების/მოსაზრების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საქალაქო სამსახურის უფროსმა კომისიათა გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, სხდომის გაიოზ თალაკვაძემ, კომისიათა გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, სხდომის დღის წესრიგის, რიგით – მე-3 ღონისძიებად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, რაც ითვალისწინებს, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის N71-134 დადგენილებაში დადგენილებაში ცვლილებების შეტანას.

გაიოზ თალაკვაძის განმარტებით, წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის მოცულობა იზრდება 1 350,0 ათასი ლარით და შეადგენს 1 228 326,9 ათას ლარს, ასევე, დასძინა, რომ ცვლილებები ხორციელდება მიმდინარე წელს მიღებული შემოსულობების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, არაფინანსური აქტივების კლებიდან მისაღები შემოსავლების - 1 350,0 ათასი ლარის ოდენობით გაზრდას.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სსიპ –ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს და მერიის ადმინისტრაციის წინადადებებისა და დამატებითი რესურსის გათვალისწინებით, ასიგნებები გადანაწილდა შემდეგ პროგრამებზე/ქვეპროგრამებზე, მათ შორის:

- იზრდება - საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის სუბსიდია – 11 000,0 ათასი ლარით, სარეზერვო ფონდი- 1 848,5, ათასი ლარით.

▪ მცირდება - საქალაქო საავტობუსო ტრანსპორტით, მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „უნივერსიტეტი-ბაგები“ გადაყვანისას უფასო და შეღავათიანი ტარიფით მოსარგებლე პირთა მგზავრთა გადაყვანისას უფასო და შეღავათიანი ტარიფით მოსარგებლე პირთა მომსახურებაქვეპროგრამის ასიგნება – 11 000,0 ათასი ლარით და პროგრამა ღონისძიებების უზრუნველყოფის ასიგნებები – 498,5 ათასი ლარით.

▪ დაზუსტდა - სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოსპროგრამის ფარგლებში მომუშავეთა რიცხოვნობა – გაიზარდა 6 ერთეულით და შეადგენს 146 ერთეულს.

მომხსენებელმა შემაჯამებლად აღნიშნა, რომ პროექტით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 158 892,7 ათასი ლარის ოდენობით და ნაშთის ცვლილება 69 434,2 ათასი ლარით, შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა -1 107 399,5 ათასი ლარით, ხოლო, ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვრა 54 018,4 ათასი ლარით.

გაიოზ თალაკვაძემ დასძინა, რომ დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბაჟშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა, დადგენილების პრეამბულაში, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის „კონკრეტული - მე-4 პუნქტის მითითების მიზანშეწონილობაზე, ხოლო, პროექტის კონკრეტულის შესაბამისი რედაქციით ჩამოყალიბების საჭიროებაზე.

კომისიის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა მომხსენებელს, ავტობუსების ინტერტირებული სისტემის გენერირების შემდგომ, 300 სამარშრუტო ერთეული საშუალების სუბსიდირების გათვალისწინებით, ხომ არ არის გაანგარიშებული, რა ოდენობის თანხები უნდა იქნას გათვალისწინებული აღნიშნულისათვის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ახალ, 2022 წლის ბიუჯეტში, რაზეც გაიოზ თალაკვაძემ აღნიშნა, რომ არსებული ვითარებით, არ არის განსაზღვრული დაზუსტებული ოდენობა, აღნიშნულთან დაკავშირებით სრული საფინანსო შედეგი, შესაძლებელია მიღებულ იქნას მას შემდგომ, რაც სისტემა გავრცელდება სრულ შემადგენლობაზე.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

4. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილემ – მარიამ კვერნაძემ კომისიათა გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, სხდომის დღის წესრიგის, რიგით მე – 4 საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ, ქალაქ თბილისის მთავრობისათვის თანხმობის მიცემას, ქალაქ თბილისში, დიღმის სასწავლო-საცდელ მეურნეობაში არსებული 4000 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: N01.72.14.009.663) გაცვლის ფორმით პრივატიზებაზე, საპრივატიზებო საფასურის – 27100 (ოცდაშვიდი ათას ასი) ლარის ოდენობით, შპს „ენ სი დი გლდანის“ (ს/ნ 405377890) საკუთრებაში ქალაქ თბილისში, ილია ვეკუას ქუჩა №113-ში არსებული 1081 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: N01.11.10.013.171) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოცემის სანაცვლოდ, ქალაქ თბილისის მთავრობის შესაბამისი განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის პირობების შესაბამისად.

მომხსენებელმა ისაუბრა საკითხთან დაკავშირებულ ფაქტობრივ გარემოებებზე და აღნიშნა, რომ მ/წლის 22 იანვარს შპს „ენ სი დი გლდანის“ დირექტორმა განცხადებით მიმართა სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს და ითხოვა, ქალაქ თბილისში, ილია ვეკუას ქუჩა N113-ში, კომპანიის საკუთრებაში არსებული 1081 კვ.მ მიწის ნაკვეთის გაცვლის ფორმით პრივატიზება, ამასთან, განმცხადებლის განმარტებით, შპს-მ ქონება შეიძინა ამხანაგობისგან „ფანასკერტელის N6-ის მოპირდაპირედ“ ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, რომელსაც, თავის მხრივ, აღნიშნული ქონება გადაეცა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტთან გაფორმებული გაცვლის ფორმით პრივატიზების ხელშეკრულების საფუძველზე, ამასთან, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 16 ოქტომბრის ბრძანების საფუძველზე, მითითებულ საკადასტრო ერთეულზე გაიცა სპეციალური (ზონალური) შეთანხმება და კოეფიციენტი K2 განისაზღვრა 6.2.-ით. თუმცა, არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 7 ივლისის გადაწყვეტილებით, ამხანაგობას უარი ეთქვა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის პროექტის შეთანხმებაზე იმ მიზეზით, რომ შენობა-ნაგებობის განთავსების არეალზე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18

დადგენილების პირველი მუხლის „ა.თ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გრაფიკული რუკის თანახმად, ვრცელდება თბილისის გამწვანებული ტერიტორიების რუკა და გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის მიერ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარება და ასევე, ჯანსაღი მწვანე ნარგავ(ებ)ის მოჭრა ან/და გადარგვა მიზანშეწონილად არ იქნა მიჩნეული, ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ კომპანიის მიერ შემენილ N01.11.10.013.171 საკადასტრო ერთეულზე არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 17 ოქტომბრის ბრძანებით შეთანხმებული იყო მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი), შემდგომში აღნიშნულ ტერიტორიაზე შიდა კვარტალური/ურბანული გამწვანების გავრცელებით უძრავი ქონების სამშენებლო განვითარების შესაძლებლობა საცხოვრებელი ზონა 6-ის (სზ-6) ფარგლებში დასაშვები სახეობების მიხედვით შეიზღუდა.

მომხსენებელმა ასევე ისაუბრა უფლებამოსილი ორგანოების მიერ მიღებული
მოსაზრებების/დასკრინების შესახებ, შემდეგი სახით:

- გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური 2021 წლის 15 სექტემბერს გაცემული პოზიციით, თანახმა განხორციელდეს ქალაქ თბილისში, იღია ვეკუას ქუჩა N113-ში არსებული 1081 კვ. მიწის ნაკვეთის მუნიციპალურ საკუთრებაში მიღება;
 - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ, 2021 წლის 14 სექტემბერს გაცემული პოზიციით, ქალაქებრძოლითი თვალსაზრისით, შესაძლებლად მიიჩნია N01.72.14.009.663 საკადასტრო ერთეულის განკარგვა (სანაცვლოდ გადაცემა) და მისი შემდგომში სამშენებლო განვითარება მოქმედი ფუნქციური ზონის შესაბამისად;
 - სსიპ - ლევან სამხარაულის სახელმის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნების თანახმად, კომპანიის საკუთრებაში არსებული, უძრავი ქონების საბაზრო ღირებულება 2021 წლის 7 აპრილის მდგომარეობით, საორიენტაციოდ, განისაზღვრა 1840943 (ერთი მილიონ რვაას ორმოცი ათას ცხრაას ორმოცდასამი) ლარის ოდენობით, ხოლო, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საბაზრო ღირებულებამ, 2021

წლის 17 სექტემბრის მდგომარეობით საორიენტაციოდ შეადგინა 1868000 (ერთი მილიონ რვაას სამოცდარვა ათასი) ლარი.

მომხსენებელმა დასძინა, რომმუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულიუმრავი ქონების საბაზრო ღირებულება 27057 (ოცდაშვიდი ათას ორმოცდაჩვიდმეტი) ლარით აღემატება კომპანიის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საბაზრო ღირებულებას, რისი გათვალისწინებითაც, განმცხადებელმა, შესაბამისი კორესპონდენიით, თანხმობა გამოიქვა, განსახორციელოს საპრივატიზებო საფასურის 27100 (ოცდაშვიდი ათას ასი) ლარის გადახდა აღნიშნული სხვაობის არანაკლები ოდენობით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სასარგებლოდ, განსაზღვრულ ვადაში, ხოლო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმების შემთხვევაში, შესაძლებლად მიიჩნია შპს „ენ სი დი“ თხოვნის დაკმაყოფილება მითითებული მიწის ნაკვეთის გაცვლის ფორმით პრივატიზების, განსაზღვრული საპრივატიზებო პირობების, მათ შორის, საპრივატიზებო საფასურის ოდენობის გათვალისწინებით.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა, პროექტის სათაურში სიტყვების „საკითხის შეთანხმების“ ჩამატების და მე-2 პუნქტის სტილისტურად გამართულობის მიზანშეწონილობაზე

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

5. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილემ – მარიამ კვერნაძემ კომისიათა გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, სხდომის დღის წესრიგის, რიგით მე – 5 საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისათვის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ თანხმობის გაცემას, ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის მე-4 მ/რ-ში, №102 საჯარო სკოლის მიმდებარედ 6000 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: N01.14.16.008.146) და ქალაქ თბილისში, ლისის ტბის მიმდებარედ 8975 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობების (ს/კ: N01.14.16.008.045) გაცვლის ფორმით, საპრივატიზებო საფასურის – 17000 (ჩვიდმეტი ათასი) ლარის ოდენობით, პრივატიზებას, შპს „აფხაზეთის“ (ს/ნ: 249251072) საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, კოსტავასა და ტყვარჩელის ქუჩებს შორის არსებული 1700 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.10.13.040.122) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოცემის სანაცვლოდ.

მომხსენებლმა ისაუბრა საკითხთან დაკავშირებულ ფაქტობრივ გარემოებებზე და აღნიშნა, რომ 2021 წლის 25 იანვარს შპს „აფხაზეთის“ წარმომადგენელმა განცხადებით მიმართა ქალაქ თბილისის მერს და ითხოვა კომპანიის საკუთრებაში არსებული N01.10.13.040.122 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის გაცვლის ფორმით პრივატიზება.

მომხსენებელმა დასძინა, რომ „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის“ დამტკიცებამდე შპს „აფხაზეთის“ საკუთრებაში არსებულ ზემომითითებულ საკადასტრო ერთეულზე ვრცელდებოდა საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სტ-2) და მცირე ნაწილზე სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1), ხოლო, როგორც შპს აფხაზეთის განცხადებაშია განმარტებული, 2018 წელს, ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც დედაქალაქის გენერალურ გეგმას ჰქონდა პროექტის სახე, კომპანიისთვის ცნობილი გახდა, რომ მათ საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე გენგეგმის პროექტი მოიაზრებდა სარეკრეაციო ზონა 1-ის (ტზ-1) სტატუსის გავრცელებას, აქედან გამომდინარე, შპს „აფხაზეთმა“ ზონის ცვლილების მოთხოვნით მიმართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას, აღნიშნული მოთხოვნა გენგეგმის დამტკიცების შემდგომ არ იქნა გათვალისწინებული და N01.10.13.040.122 ფუნქციურ ზონად განისაზღვრა სარეკრეაციო ზონა 1 (ტზ-1) და მცირე ნაწილზე სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1). შესაბამისად, კომპანიის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სამშენებლო განვითარების შესაძლებლობა საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ის ფარგლებში დასაშვები სახეობების მიხედვით შეიზღუდა.

მომხსენებელმა მიუთითა, რომ კომპანიის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, ფაქტობრივი მდგომარეობით, წარმოადგენს საერთო სარგებლობისთვის განკუთვნილ სივრცეს/სკვერს, ხოლო, იმის გათვალისწინებით, რომ დედაქალაქის გენერალური გეგმის შესაბამისად, ქალაქის განვითარების პროცესში პრიორიტეტულია მწვანე საფარი, სარეკრეაციო ტერიტორიების შექმნა და მათი შემდგომი დაცვა, დედაქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, მნიშვნელოვანია N01.10.13.040.122 საკადასტრო ერთეულზე სარეკრეაციო სივრცის შენარჩუნება და სამომავლოდ მისი საერთო სარგებლობისთვის გამოყენება.

მარიამ კვერნაძემ კომისიათა გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, საკითხთა დაკავშირებით, უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემულო შეფასებები და ინფორმაცია, შემდეგი სახით:

- გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური თანახმაა განხორციელდეს N01.14.16.008.146 და 01.14.16.008.045 საკადასტრო ერთეულების სანაცვლოდ ქალაქ თბილისში, კოსტავასა და ტყვარჩელის ქუჩებს შორის არსებული 1700 კვ.მ მიწის ნაკვეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში მიღება.
- სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ქალაქებების გაცვლით განვარგვა (გაცვლა);
- ვაკის რაიონის გამგეობის 2021 წლის 7 ივნისს გაცემული ინფორმაციით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული N01.14.16.008.045 საკადასტრო ერთეულის ნაწილი დაკავებულია თვითნებურად და მრავალი წელია ფაქტობრივად ფლობს და ცხოვრობს სამი ოჯახი.
- სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული ექსპერტიზის ბიუროს დასკვნების თანახმად, კომპანიის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საბაზრო ღირებულება 2021 წლის 28 ივნისის მდგომარეობით განისაზღვრა 5 460 400 (ხუთი მილიონ ოთხას სამოცი ათას ოთხასი) ლარის ოდენობით, ხოლო, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების ჯამური საბაზრო

ღირებულება საორიენტაციოდ განისაზღვრა 5 477 350 (ხუთი მილიონ ოთხას სამოცდაჩვიდმეტი ათას სამას ორმოცდაათი) ლარით.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ აღნიშნული შეფასებებიდან გამომდინარე, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების ჯამური საბაზო ღირებულება 17 000 (ჩვიდმეტი ათასი) ლარით აღემატება შპს „აფხაზეთის“ საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ღირებულებას, რაზეც, შესაბამის წერილობით განცხადებაზე დაყრდნობით, კომპანია თანხმობას აცხადებს განახორციელოს საპრივატიზებო საფასურის გადახდა აღნიშნული სხვაობის არანაკლები ოდენობით მუნიციპალიტეტის სასარგებლოდ განსაზღვრულ ვადაში, ხოლო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ იმსჯელა და მიზანშეწონილად მიიჩნია აღნიშნული მიწის ნაკვეთების გაცვლით ფორმით პრივატიზების თაობაზე საკითხის ქალაქ თბილისის საკრებულოსთვის შესათანხმებალდ წარმოდგენა, საპრივატიზებო საფასურით - 17 000 (ჩვიდმეტი ათასი) ლარის ოდენობით, რომლის გადახდაც უნდა განხორციელდეს შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 (სამი) თვის ვადაში.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ უძრავი ქონების გაცვლის ფორმით პრივატიზების შესახებ ხელშეკრულებაში გათვალისწინებული იქნას შპს „აფხაზეთის“ მიერ იმ სამი ოჯახის დაკამაყოფილების საკითხი, რომელთაც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული N01.14.16.008.045 საკადასტრო ერთეულის ნაწილი მრავალი წელია აქვთ დაკავებული და საცხოვრებელი მიზნით ფლობენ.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული წინადადების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

6. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილემ მარიამ კვერნაძემ კომისიათა გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, სხდომის დღის წესრიგის, რიგით მე - 6 საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ, ქალაქ თბილისის მთავრობისათვის თანხმობის მიცემას, ქ.თბილისში, დიღმის სასწავლო საცდელი მეურნეობის მიმდებარედ არსებული 7000 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ: N01.72.14.009.659) გაცვლის ფორმით პრივატიზებაზე, საპრივატიზებო საფასურის გარეშე, შპს „მთვარის გლობუსის“ (ს/ნ 200021270) საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების: ქ. თბილისში, დავით გურამიშვილის ჩიხი, №11ა-ში არსებული 10327 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა N1-ის (საკადასტრო კოდი: N01.12.01.004.037) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოცემის სანაცვლოდ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის შესაბამისი განკარგულების დანართით განსაზღვრული ხელშეკრულების პროექტის პირობების შესაბამისად.

მომხსენებლის განმარტებით, აღნიშნულმა კომპანიამ, 2018 წლის 26 ივნისს, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს, განმცხადებით ამცნო, რომ N01.12.01.004.037 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონება შეიძინა სამშენებლო განვითარების პერსპექტივით. თუმცა, „დედაქალაქის მიწათსარებელობის გენერალური გეგმის“ ფუნქციური ზონირების შესაბამისად, მიწის ნაკვეთზე გავრცელდა სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2), რამაც შეზღუდა კომპანიის გეგმები ტერიტორიაზე სხვადასხვა ბიზნეს პროექტის განხორციელების თაობაზე და ფუნქციური ზონის შესაბამისად, მიწის ნაკვეთზე მოაწყო სპორტული მოედანი, ამასთან, აღსანიშნავია, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 2 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებით დავალების გაცემის თაობაზე, კომპანიას უარი ეთქვა, ხოლო, ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, მ/წლის 14 მაისს კომპანიის დირექტორმა განცხადებით მიმართა ქალაქ თბილისის მერს და ითხოვა კომპანიის საკუთრებაში ქალაქ თბილისში, დავით გურამიშვილის ჩიხი N11ა-ში არსებული 10327 კვ.მ მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობის გაცვლის ფორმით პრივატიზება.

მომხსენებლის განმარტებით, იმის გათვალისწინებით, რომ დედაქალაქის გენერალური გეგმის შესაბამისად, ქალაქის განვითარების პროცესში პრიორიტეტულია მწვანე საფარი, სარეკრეაციო ტერიტორიების შექმნა და მათი შემდგომი დაცვა, დედაქალაქის ეკოლოგიური მდგრამარეობის გაუმჯობესების მიზნით მნიშვნელოვანია ზემოაღნიშნულ უძრავ ქონებაზე სარეკრეაციო ფუნქციის შენარჩუნება, შპს „მთვარის გლობუსისათვის“ უძრავი ქონების გაცვლის ფორმით პრივატიზების მიზნით, შეთავაზებული იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. თბილისში, დიღმის სასწავლო საცდელ მეურნეობაში მდებარე 7000 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, რაზეც, კომპანია წერილობით განაცხადა თანხმობა და მზაობა გამოხატა, გადაიხადოს სხვაობის არანაკლები ოდენობით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ორგანოების მიერ განსაზღვრული საპრივატიზებო საფასური, თუ მისაღები ქონების ღირებულება აღემატება, კომპანიის საკუთრებაში არსებულის საბაზრო ღირებულებას, ხოლო, საპირისპირო შემთხვევის არსებობისას, ამ სხვაობასთან დაკავშირებით არ ექნება პრეტენზია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიმართ.

მომხსენებელმა ისაუბრა, უფლებამოსილი ორგანოების მიერ მიღებული მოსაზრებების შესახებ, შემდეგი სახით:

- კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია, შესაბამისი მიწის ნაკვეთის სანაცვლოდ, ქ. თბილისში, დავით გურამიშვილის ჩიხი N11ა-ში არსებული 10327 კვ. მ მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობის მუნიციპალურ საკუთრებაში მიღება, დედაქალაქში სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით.
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს, ქალაქების მარებითი თვალსაზრისით, N01.72.14.009.659 საკადასტრო ერთეულის განვარგვა (სანაცვლოდ გადაცემა) და მისი შემდგომი სამშენებლო განვითარება მოქმედი ფუნქციური ზონის შესაბამისად, შესაძლებლად იქნა მიჩნეული.
- სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნების თანახმად, შპს „მთავრის გლობუსის“ საკუთრებაში არსებული უძრავი ქონები საბაზრო ღირებულება, 2021 წლის 17 ივნისის მდგომარეობით, საორიენტაციოდ შეადგინა - 3283659 (სამი მილიონ ორას ოთხმოცდასამი ათას ექსას

ორმოცდაცხრამეტი) ლარი, ხოლო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულიუმრავი ქონების საბაზრო ღირებულებამ, 2021 წლის 19 აგვისტოს მდგომარეობით, საორიენტაციოდ შეადგინა – 3283000 (სამი მილიონ ლარს ოთხმოცდასამი ათასი) ლარი.

მომხსენებელმა დასძინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ იმსჯელა და მისაღებად მიიჩნია აღნიშნული უძრავი ქონების გაცვლის ფორმით პრივატიზება, საპრივატიზებო საფასურის გარეშე, ვინაიდან განმცხადებლის საკუთრებაში არსებული ქონების ღირებულება აღემატება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების ღირებულებას, ხოლო, საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკურებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა პროექტის სათაურში სიტყვების საკითხის შეთანხმების ჩამატების მიზანშეწონილობის საკითხზე.

განკარგულების პროექტით განსაზღვრული საკითხი დადებითად შეაფასა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრმა გიორგი ჩაკვეტაძემ.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკურებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

7. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილემ მარიამ კვერნაძემ კომისიათა გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, სხდომის დღის წესრიგის, რიგით მე – 7 საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკურებულოს განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკურებულოს მიერ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისათვის თანხმობის გაცემას, ქალაქ თბილისში, ომარ სიზანიშვილის ქუჩა, N139-ში მდებარე, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 900 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ: N72.13.02.581) გაცვლის ფორმით პრივატიზებას, მოქალაქე სესილი საათიშვილის საკუთრებაში არსებული, ქალაქ თბილისში, სოფელი გლდანში არსებული 900 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ: N72.13.02.413) მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოცემის საწაცვლოდ.

მომხსენებლის განმარტებით, ქალაქ თბილისის მერს წერილობით მიმართა სპეციალური პენიტენციური სამსახურის გენერალურმა დირექტორმა და აცნობა, რომ სპეციალური პენიტენციური სამსახურის N8 პენიტენციური დაწესებულების მიმდებარე ტერიტორიაზე, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად, მოქალაქე სესილი საათიშვილის კუთვნილ ზემომითითებულ მიწის ნაკვეთზე განთავსებულია N8 პენიტენციური დაწესებულების საგუშაგო ბლოკ-პოსტი, რაც, ზღუდავს, მესაკუთრის მიერ, საკუთრების უფლებით სრულ სარგებლობას და ამავე დროს, საქართველოს პატიმრობის

კოდექსით განსაზღვრული შეზღუდვებისა და N8 პერიტენციური დაწესებულების გამართული ფუნქციონირებისათვის აღნიშნული საგუშავო ბლოკ-პოსტის გაუქმება შეუძლებელია, აღნიშნული მიწის ნაკვეთის გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის განსაზღვრულად, ქალაქ თბილისის მერიის მიერ, სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსადმი მიმართვის შედეგად, მუნიციპალიტეტს დამატებითი ქონების სახით გადაეცა 2 500 კვ.მ მიწის ნაკვეთი, მდებარე - ქ. თბილისი, ომარ ხიზანიშვილის ქუჩა N139, ხოლო, აღნიშნული მიწის ნაკვეთის გამიჯვნის შედეგად არსებული 900 კვ.მ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლება მუნიციპალიტეტის სახელზე დარეგისტრირდა შემდეგი საკადასტრო კოდით: N72.13.02.581.

მარიამ კვერნაძემ ისაუბრა უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული
მოსაზრების/დასკვნების თანახმად, შემდეგი სახით:

მომხსენებლის განმარტებით, მოქალაქე სესილი საათაშვილმა თანხმობა გამოთქვა N72.13.02.581 საკადასტრო ერთეულის გაცვლის ფორმით პრივატიზებაზე და ამასთანავე, იმ შემთხვევაში, თუ ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთის ღირებულება აღემატება N72.13.02.413 საკადასტრო ერთეულის საბაზრო ღირებულებას, გამოთქვამზაობა, გადაიხადოს სხვაობის არანაკლები ოდენობით, მუნიციპალიტეტის შესაბამისი ორგანოების მიერ განსაზღვრული საპრივატიზებო საფასური. ხოლო, იმ შემთხვევაში, თუ მის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება აღემატება სანაცვლოდ გადმოსაცემი უძრავი ქონების ღირებულებას, აღნიშნულ სხვაობასთან დაკავშირებით არ ექნება არავითარი პრეტენზია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მიმართ, მომხსენებელმა ასევე დასძინა, რომ ვინაიდან, მოქალაქეს საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება თანაბარია, უძრავი ქონების გაფლის ფორმით პრივატიზება ხორციელდება საპრივატიზებო საფასურის გარეშე.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარე მისაუბრა განკარგულების პროექტის სათაურის სტილისტურად, ხოლო, პროექტის მე-2 მუხლის ტექნიკურად გამართულობის საკითხებზე.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

8. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილემ მარიამ კვერნაძემ კომისიათა გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, სხდომის დღის წესრიგის, რიგით მე - 8 საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „არქი ინვესტს“ (ს/ნ 404954046) შორის, 2018 წლის 6 თებერვალს გაფორმებული „უძრავი ქონების გაცვლის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულების 5.9 პუნქტით გათვალისწინებული შემდეგი პირობის გაუქმების საკითხზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისათვის თანხმობის გაცემას:

„ქონების შემძენი ვალდებულია, საკუთრებაში გადაცემული ქონების (პრივატიზების საგნის) ტერიტორიის სამშენებლო განვითარების შემთხვევაში, უზრუნველყოს მიმდებარე ტერიტორიის გამწვანება და კეთილმოწყობა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურთან შეთანხმებით.“

მომხსენებელმა ისაუბრა საკითხთან დაკავშირებულ ისტორიულ საფუძვლებში და აღნიშნა, რომ სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და კომპანია „არქი ინვესტს“ შორის გაფორმებული ზემომითითებული ხელშეკრულების საფუძველზე, მყიდველს საკუთრებაში გადაეცა, ქალაქ თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირი II კვარტალის №9ა და №9ბ კორპუსებს შორის მდებარე 1171 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, ქ.თბილისში, მაყაშვილის ქ. მე-2 ჩიხი N2/ქ. თბილისში, მაყაშვილის ქ. I ჩიხი N4-ში მდებარე 480 კვ.მ. მიწის ნაკვეთის, მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობებით, მუნიციპალიტეტისათვის საკუთრებაში გადმოსცემის სანაცვლოდ, ამასთან, აღნიშნა, რომ გაფორმებული ხელშეკრულების 5.9 პუნქტის თანახმად, ქონების შემძენმა იკისრა ვალდებულება საკუთრებაში გადაცემული უძრავი ქონების სამშენებლო განვითარების შემთხვევაში, უზრუნველყოს, მიმდებარე ტერიტორიის გამწვანება და კეთილმოწყობა, ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურთან შეთანხმებით.

მომხსენებლის განმარტებით, მუნიციპალიტეტის ქონების შემძენმა, მ/წლის 24 ივნისსა და პირველ სექტემბერს, წერილობით მიმართა სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს და ითხოვა, ხელშეკრულების 5.9 პუნქტით გათვალისწინებული პიროები/ვალდებულების გაუქმება, შემდეგ გარემოებათა გამო:

- კომპანიისათვის პრივატიზებული ობიეტის გამწვანების პროექტი დამტკიცებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის შესაბამისი ბრძანებისა და გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის მიერ დამტკიცებული პროექტის შესაბამისად, იმ გარემოების გათვალისწინებითაც, რომ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების შემთხვევასი, შესათანხმებელი პროექტი თავის მხრივ მოიცავს გამწვანების პროექტსაც, ხოლო,

მშენებლობის პროცესის, საპროექტო ნორმებთან შესაბამისობაზე ზედამხედველობას ახორციელებს ქალაქ თბილისის მუნიციპალური ინსპექცია;

- სამშენებლო პროექტის გააჩნია სოციალური დატვირთვა – ვაჟა – ფშაველას მე-2 კვარტლის, მე-9 კორპუსის მობინადრეების (დაახლოებით 40 ოჯახი), რომლებიც ცხოვრობენ საცხოვრებლად უვარების ფართებში, ახალი საცხოვრებელი ფართებით უზრუნველყოფას კისრულობს შპს „არქი ინვესტმა“, ხოლო, რეგისტრირებული შეზღუდვა – ხელშეკრულების 5.9 პუნქტით გათვალისწინებული პირობა, აფერხებს მშენებლობის პროცესის სრულფასოვნად და სწრაფად წარმართვის პროცესს და ასევე წარმოადგენს, ხელისშემშლელ ფაქტორს დამატებითი ინვესტიციების მოზიდვისა და საფინანსო დაწესებულებებთან ურთიერთობაში.

მომხსნებელმა ასევე დასძინა, რომ უძრავი ქონების საბაზრო ღირებულების შეფასების შესახებ დასკვნაში, N01.14.03.022.003 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი შეფასებულია აღნიშნული ვალდებულების - „ტერიტორიის სამშენებლო განვითარების შემთხვევაში, უზრუნველყოს მიმდებარე ტერიტორიის გამწვანება და კეთილმოწყობა“ გათვალისწინების გარეშე. შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია მყიდველი გათავისუფლდეს N01.14.03.022.003 საკადასტრო ერთეულის სრულ საპრივატიზებო ღირებულებასა და ამავე მიწის ნაკვეთზე შეზღუდვის – „ტერიტორიის სამშენებლო განვითარების შემთხვევაში, უზრუნველყოს მიმდებარე ტერიტორიის გამწვანება და კეთილმოწყობა“ გარეშე დადგენილ ღირებულებებს შორის სხვაობის, მოცემული დღევანდელი მდგომარეობით, გადახდის ვალდებულებისაგან.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის მითითების მიზანშეწონილობაზე.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

9. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილემ მარიამ კვერნაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, სხდომის დღის წესრიგის, რიგით მე - 9 საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, „ქ. თბილისში, განსაზღვრული მიწის ნაკვეთების შპს „PP“-სთვის (ს/კ:404922474) პირდაპირი განკარგვის წესით, აღნაგობის უფლებით გადაცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2014 წლის 8 მაისის N12.17.575 დადგენილების პირველ მუხლსა და დანართში შესაბამისი ცვლილებების განხორციელების საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებას.

მომხსენებლის მითითებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის ზემომითითებული დადგენილებისა და სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს 2014 წლის 3 ივნისის გადაწყვეტილების საფუძველზე, შპს „PP“-ს პირდაპირი განკარგვისწესით, სარგებლობისუფლებით, აღნაგობის ფორმით, 49 (ორმოცდაცხრა) წლის ვადით გადაეცა ქ. თბილისში, ვეკუას ქუჩა 3-ის მიმდებარედ 160 კვ.მ. (ს/კ: 01.18.03.011.010), 584 კვ.მ. (ს/კ: 01.18.03.011.011) 47 კვ.მ. (ს/კ: 01.18.03.011.012) და 327კვ.მ. მიწის ნაკვეთები (ს/კ: 01.18.03.011.013), მიწისზედა მშენებლობის უფლების გარეშე, შემდგომში, აღნიშნულ კომპანიას უფლებამოსილი ორგანოების გადაწყვეტილებით, მიეცა თანხმობა აღნაგობის საგანის იპოთეკით დატვირთვაზე სს „ბანკი ქართუ“-ში, სესხის მიღების სანაცვლოდ, ვინაიდან შპს „PP“-მ ვერ დაფარა სესხი, იმულებითი აღსრულების შედეგად მოაღწია გახდა სს „ბანკი ქართუ“.

მომხსენებელმა ყურადღება გაამახვილა საკითხთან დაკავშირებით არსებულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე:

- “audit & consulting group”-ის 2014 წლის 25 აპრილის აუდიტორული დასკვნებით, აღნაგობის საგანზე, აღნაგობის უფლებით გადაცემის წლიური ქირა 1 კვ.მ-ზე განისაზღვრა 36.80 (ოცდათექვსმეტი ლარი და ოთხმოცი თეთრი) ლარის ოდენობით.
- ხელშეკრულების 3.1 და 3.2 პუნქტებისთანახმად, მთლიანად გადაცემულ მიწის ნაკვეთებზე (ჯამში 1,118 კვ.მ) სარგებლობისყოველწლიურისაფასურიგანისაზღვრა 42,000 (ორმოცდაორი ათასი) ლარის ოდენობით, რავ მოაღწია უნდაგადაიხადოსწელიწადშეირთხელ, შესაბამისად, 1 კვ.მ მიწის ნაკვეთზე აღნაგობის წლიური ქირა შეადგენს 37.5670 ლარს.
- განხორციელდა ქ. თბილისში, ვეკუას ქუჩა 3-ის მიმდებარე, ზემომითითებული საკადასტრო ერთეულების დაყოფა შემდეგი სახით:
 - 584 კვ.მ. (ს/კ: 01.18.03.011.011) გაიმიჯნა 2 კვ.მ ფართის N01.18.03.011.033, 98 კვ.მ ფართის N01.18.03.011.032 და 484 კვ.მ ფართის N01.18.03.011.031 საკადასტრო ერთეულებად.
 - N01.18.03.011.032 საკადასტრო ერთეული 70 კვ.მ ფართის N01.18.03.011.039 და 28 კვ.მ ფართის N01.18.03.011.040 საკადასტრო ერთეულებად.
 - 47 კვ.მ (ს/კ: 01.18.03.011.012) გაიმიჯნა 21 კვ.მ ფართის N01.18.03.011.035 და 26 კვ.მ ფართის N01.18.03.011.034 მიწის ნაკვეთებად;
 - 327კვ.მ. (ს/კ: 01.18.03.011.013) გაიმიჯნა 7 კვ.მ ფართის N01.18.03.011.028 და 320 კვ.მ ფართის N01.18.03.011.027 მიწის ნაკვეთებად.

მომხსენებლის მითითებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2014 წლის 8 მაისის N12.17.575 დადგენილებაში განხორციელებული ცვლილებების შემდგომ, შეიცვალა შპს „PP“-სთვისგადაცემული მიწის ნაკვეთების სია, რომლის თანახმადაც გადაცემული მიწის ნაკვეთების ჯამურმა ოდენობამ შეადგინა - 1048 კვ.მ.

მომხსენებლის მითითებით, N01.18.03.011.043 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი, რაც წარმოქმნილია, აღნაგობის უფლებით გადაცემული N01.18.03.011.010; N01.18.03.011.035; N01.18.03.011.033 და N01.18.03.011.028 საკადასტრო კოდების გაერთიანების შედეგად, შესაბამისად, მასზე რეგისტრირებულია აღნაგობის უფლება, განიკარგა 2021 წლის 10 სექტემბერს გამოცხადებულ 608-ე აუქციონის N41 ლოტზე და აუქციონში გამარჯვებულად

გამოვლინდა სს „ბანკი ქართუ“, რომელსაც, ხელშეკრულების საფუძველზე, საკუთრებაში გადაეცა აღნიშნული უძრავი ქონება.

მომხსენებელმა შემაჯამებელი სახით აღნიშნა, რომ განკარგულების პროექტის ფარგლებში წარმოდგენილი ცვლილებით, ხორციელდება, სს „ბანკი ქართუ“-სთვის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, აღნაგობის ფორმით გადასაცემ ქონებად ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შემდეგი უძრავი ქონების განსაზღვრა, მიწისზედა მშენებლობის უფლების გარეშე:

- 28 კვ.მ (ს/კ: 01.18.03.011.040), 484 კვ.მ (ს/კ: 01.18.03.011.031), და 26 კვ.მ (ს/კ: 01.18.03.011.034) მიწის ნაკვეთები;
- და ქ. თბილისში, მოედანი კოლმეურნეობა, „პირიმზის“ მიმდებარედ 320 კვ.მ მიწის ნაკვეთი (ს/კ: 01.18.03.011.027).

გარდა აღნიშნულისა, მომხსენებლის მითითებით, განსახორციელებელი ცვლილებების ფარგლებში, ადგილი აქვს შემდეგ ღონისძიებებს:

- იცვლება აღნაგობის საგანის ფართობი (მცირდება 190 კვ.მ ფართობით);
- მცირდება წლიური აღნაგობის საფასური გადაცემული ქონების ფართობის პროპორციულად, აღნიშნული ცვლილებით დარჩენილ 1048 კვ.მ. მიწის ნაკვეთს აკლდება 190 კვ.მ მიწის ნაკვეთის აღნაგობის საფასური - 7137.73 (შვიდი ათას ას ოცდაჩიდმეტი ლარი და სამოცდაცამეტი თეთრი) ლარი და დარჩენილ, ჯამში 858 კვ.მ მიწის ნაკვეთზე განისაზღვრება აღნაგობის საფასური - 32232.60 (ოცდათორმეტი ათას ორას ოცდათორმეტი ლარი და სამოცი თეთრი) ლარის ოდენობით;
- აღნიშნული ცვლილებები განხორციელდება იმ შემთხვევაში, თუ მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ 201 კვ.მ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 01.18.03.011.043) 2021 წლის 24 სექტემბრის აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის საფუძველზე გამოვლენილ გამარჯვებულ პირთან - სს „ბანკი ქართუ“-სთან გაფორმდება შესაბამისი ხელშეკრულება და გაიცემა საკუთრების მოწმობა.

მომხსენებელმა დასძინა, რომ პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი თანხების გამოყოფას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტიდან.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა, პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის N19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის მითითებისა და პროექტის პირველ მუხლში ტექნიკური ხარვეზის - ნაცვლად „განკარგულებისა“ მითითებულ იქნას „დადგენილება“, გასწორების მიზანშეწონილობის საკითხებზე.

გადაწყვიტება:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნების

გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

10. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილემ მარიამ კვერნაძემ კომისიათ გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, სხდომის დღის წესრიგის, რიგით მე – 10 საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ხანგრძლივი დროის მანძილზე მცხოვრები პირისათვის, პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად, განსაზღვრული პირობით, პრივატიზების საკითხზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ თანხმობის გაცემას.

მარიამ კვერნაძის განმარტებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისა და საკრებულოს შესაბამისი განკარგულებების საფუძველზე, სამგორის ქუჩა N16-ში მცხოვრებ 17 პირს, პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების წესით გადაეცაც, მათ ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული ფართები, თუმცა, მ/წლის 18 ივნისს, მოქალაქეებმა წერილობით მიმართეს ისნის რაიონის გამგეობას და აცნობეს, რომ მათვართები დაუკანონდათ ფაქტობრივი მდგომარეობის შეუსაბამოდ და ითხოვეს შუამდგომლობის გაწევა, აღნიშნული პრობლემის მოგვარების მიზნით, ამასთან, წარადგინეს სანოტარო წესით შედგენილი შეთანხმება, საცხოვრებელი ფართების მონაცვლეობასთან დაკავშირებით, რათა, თითოეული მათგანი გახდეს იმ უძრავი ქონების მესაკუთრე, სადაც ფაქტობრივად ცხოვრობენ.

მომხსენებლის მითითებით, დადგინდა, რომ შესაბამისი დანართით მოცემული მოქალაქეებიდან ერთ-ერთი, თეონა მახვილაძეცხოვრობს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებულ ფართები, თუმცა საკუთრებაში გადაეცა პირველ სართულზე არსებული 52.91 კვ.მ ფართი, ამასთან, დასძინა, რომ გამგეობის მიერ, საკითხთან დაკავშირებით, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს წარედგინა შუამდგომლობა, ხოლო, სააგენტო მიიჩნევს, რომ მოქალაქეთა ნოტარიული შეთანხმებისა და მასში წარმოდგენილი ცვლილების განსახორციელებლად, მიზანშეწონილია, მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული ფართი გადაეცეს მის ფაქტობრივ მფლობელს, ამასთან, თეონა მახვილაძეს აღნიშნული ფართი საკუთრებაში უნდა გადაეცეს მხოლოდ ნოტარიული შეთანხმების შესრულების პირობით, კერძოდ, N01.17.11.005.01.516 კოდით რეგისტრირებული ფართის მიღების შემდგომ, იგი ვალდებულია, N01.17.11.005.01.511 კოდით რეგისტრირებული ფართი შეთანხმების შესაბამისად გადასცეს მის მეზობელს ნათია ბოჭორიშვილს.

მომხსენებელმა შემაჯამებლად აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროექტი მოწონებულ იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის შესაბამისი განკარგულებით და ითვალისწინებას:

- მოქალაქე თეონა მახვილაძეს საკუთრებაში გადაეცემა, მის ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული 86.45 კვ.მ. უძრავი ქონება (ს/კ: N01.17.11.005.01.516) პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთ) ლარად იმ პირობით, რომ თეონა მახვილაძე მის საკუთრებაში არსებულ N01.17.11.005.01.511

საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ უძრავ ქონებას საჯუთოებაში გადასცემს მოქალაქე ნათია ბოჭორიშვილს, ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ ლევან ქორქოლიანმა მიზანშეწონილად მიიჩნია პროექტის სათაურში სიტყვების „საკითხის შეთანხმების“ ჩამატება და განკარგულების დანართში, ხელშეკრულების პროექტში, ქონების მიმღების პირის მიერ პირობის შესრულების დადასტურების მექანიზმის მითითება.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

11. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილემ მარიამ კვერნაძემ, კომისიათა გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, სხდომის დღის წესრიგის, რიგით მე – 11 საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული უძრავი ქონების, მდებარე: ქალაქი თბილისი, ვლადიმერ ლობჟანიძის ქუჩა N18-ში მდებარე 58.92 კვ.მუძრავი ქონების (ს/კ: N01.17.12.022.061.01.504) პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად, ხანგრძლივი დროის მანძილზე მცხოვრები, მოქალაქე ქეთინო ტარიელაშვილისთვის პრივატიზების საკითხზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ თანხმობის გაცემას.

მომხსენებლის განმარტებით, ისნის რაიონის გამგეობას განცხადებით მიმართა მოქალაქე ქეთინო ტარიელაშვილმა და ითხოვა, მის ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული, ზემომითითებული უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად პროვატიზებასთან დაკავშირებით, უფლებამოსილ ორგანოებთან შუამდგომლობის გაწევა, აღნიშნული მოთხოვნის შესაბამისად, საკითხის შესწავლის შემდგომ, ისნის რაიონის გამგეობამ შუამდგომლობით მიმართა სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს და წარუდგინა კვლევით მიღებული, შემდეგი ინფორმაციის შემცველი დოკუმენტაცია:

- უძრავ ქონებაში დაინტერესებული პირისცხოვრების ფაქტის ნამდვილობას ადასტურებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის მთავარი სამმართველოს მიერ გაცემული დოკუმენტი, ამასთან, მოქალაქეს 2008 წლიდან ცხოვრების ფაქტის ნამდვილობას ადასტურებენ მოქალაქეები სანოტარო წესით დამოწმებული აქტებით;
- დაინტერესებულმა პირმა სანოტარო წესით დამოწმებული აქტით თანხმობა გამოთქვა, უძრავი ქონების პრივატიზების შემთხვევაში, არ აქნება პრეტენზია და მოთხოვნა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ;

- საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით, დაინტერესებული პირისა და და მისი ოჯახის წევრებზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე, რეგისტრირებული არ არის.

მომსენებლის მითითებით, ქალაქ თბილისის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად დაინტერესებული პირისთვის პრივატიზება და საკითხის ქალაქ თბილისის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ მიზანშეწონილად მიიჩნია პროექტის სათაურის სტილისტურად გასწორება და შესაბამისი რედაქციით ჩამოყალიბება.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

12. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილემ მარიამ კვერნაძემ გაერთიანებულ კომისიათა სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, სხდომის დღის წესრიგის, რიგით მე – 12 საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, მდებარე: ქალაქ თბილისში, შანდორ პეტეფის ქუჩა კორპუს N11-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.10.005.004.01.001) სართული 1, ბინა N1, მდებარე 68.18 კვ.მ უძრავი ქონების მოქალაქე თეიმურაზ ელგანდაშვილისთვის, რომელიც დაახლოებით 25 წელიწადია ფლობს და სარგებლობს აღნიშნულ უძრავ ქონებას პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზების საკითხზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ თანხმობის გაცემას.

მომსენებლის განმარტებით, ისნის რაიონის გამგეობას განცხადებით მიმართა მოქალაქე თეიმურაზ ელგანდაშვილმა და ითხოვა ხანგრძლივი დროის მანძილზე დაკავებული უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად პრივატიზებასთან დაკავშირებით, უფლებამოსილ ორგანოებთან შუამდგომლობის გაწევა, ხოლო გამგეობის მიერ, საკითხის შესწავლის შემდგომ, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს მიმართა შუამდგომლობით და წარუდგინა საკითხის შესწავლის შედეგად მიღებული, შემდეგი ინფორმაციის შემცველი დოკუმენტაცია:

- დაინტერესებული პირის მიერ, უძრავ ქონებაში 25 წლის მანძილზე ცხოვრების ფაქტის ნამდვილობას ადასტურებს, შსს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის მთავარი სამმართველოს მიერ გაცემული დოკუმენტაცია, ამასთან, მეზობლები სანოტარო წესით დამოწმებული თანხმობით ადასტურებენ, რომ დაინტერესებული პირი მისამართზე ცხოვრობს 1995 წლიდან.

▪ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დევნილთა მონაცემთა ბაზის მიხედვით, შესაბამის დანართში მითითებული პირები არ სარგებლობენ დევნილის სტატუსით.

▪ სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, დაინტერესებული პრის ოჯახის წევრების ციცინო ელგანდაშვილის, თინათინ ელგანდაშვილის, ანასტასია გოგიბერიძის სახელებზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე რეგისტრირებული არ არის, ხოლო, თემურაზ ელგანდაშვილის სახელზე თანასაკუთრების უფლება რეგისტრირებულია უძრავ ნივთზე, მდებარე: ქ. თბილისი, წულუკიძის III შესახ., კორპ. N11-ის მიმდებარედ, 140 კვ.მ.;-ზე.

მომსხუნებელმა დასმინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მოიწონა და შესაძლებლად მიიჩნია, უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა პროექტის სათაურის რედაქტირებისა და პროექტის პირველ პუნქტში მთავრობის განკარგულების სათაურის სწორად მითითების მიზანშეწონილობის საკითხებზე.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

13. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილემ მარიამ კვერნაძემ კომისიათა გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, სხდომის დღის წესრიგის, რიგით მე – 13 საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, მდებარე: ქალაქი თბილისი, ვაზისუბნის IVმ/რ, კვარტალი I, კორპუსი N21, 68.48 კვ.მ (ს/კ: N01.17.07.031.004.01.022)პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად, ხანგრძლივი დროის მანძილზე მცხოვრები, მოქალაქე ციცინო კობერიძისათვის პრივატიზების საკითხზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ თანხმობის გაცემას.

მომსხუნებლის განმარტებით, ისნის რაიონის გამგეობას განცხადებით მიმართა მოქალაქე ციცინო კობერიძემ და ითხოვა ხანგრძლივი დროის მანძილზე დაკავებული უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად პრივატიზებასთან დაკავშირებით შუამდგომლობის გაწევა, აღნიშნული მოთხოვნის შესაბამისად, გამგეობამ, რეკომენდაციით მიმართა სსიპ - ქონების მართვის

სააგენტოს და წარუდგინა საკითხის შესწავლის შემდეგად მიღებული, შემდეგი ინფორმაციის შემცველი დოკუმენტაცია:

- დაინტერესებული პირის მიერ, უძრავ ქონებაში 2007 წლიდან ცხოვრების ფაქტის ნამდვილობას ადასტურებს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის მთავარი სამმართველოს მიერ გაცემული დოკუმენტი, ამასთან, მოქალაქები, სანოტარო წესით დამოწმებული აქტით ადასტურებენ მოქალაქის 2000 წლიდან ცხოვრების ფაქტის ნამდვილობას.
- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ინფორმაციით, მოქალაქე ციცინო კობერიძე დევნილთა მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული არ არის;
- საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, დაინტერესებული პირისა და მისი ოჯახის წევრებზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე, რეგისტრირებული არ არის.

მომხსენებელმა დასმინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია, უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად გადაცემახანგრძლივი დროის მანძილზე მცხოვრები პირისთვის და საკითხის თბილისის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ მიზანშეწონილად მიიჩნია პროექტის სათაურის ტექნიკურად გასწორება და შესაბამისი რედაქციით ჩამოყალიბება.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

14. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილემ მარიამ კვერნაძემ, კომისიათა გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, სხდომის დღის წესრიგის, რიგით მე - 14 საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული უძრავი ქონების, მდებარე: ქალაქი თბილისი, ელდარის ქუჩა 12-ში, კორპუს N1 და N2-ში მდებარე საცხოვრებელი ფართების შემდეგი 8 (რვა) მოქალაქისათვის, ქალაქ თბილისის მთავრობის აღნიშნული განკარგულების დანართი N1-ით განსაზღვრული ფართობებით (საერთო ჯამში გადაეცემათ 435.85 კვ.მ.ფართი) პირდაპირი განკარგვის წესით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზების საკითხზე თბილისის საკრებულოს მიერ თანხმობის გაცემას:

- ინგა დადგანს გადაეცემა - 35.49 კვ.მ.ლელა მათიკაშვილს - გადაეცემა 84.63; დიმიტრი გაგნიძეს - გადაეცემა 68.67; ვლადიმერ გაგნიძეს - გადაეცემა 92.15; ბელა ნუკრაძეს - გადაცემა

37.43; ეკატერინე გაგნიძეს - გადაეცემა 63.75; ეკატერინე გაგლოშვილი - გადაეცემა 27.53; ოთარი კაპანაძე - გადაეცემა სარდაფის სართული, 26.20 კვ.მ.

მომხსენებლის განმარტებით, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს წარედგინა სამგორის რაიონის გამგეობის წერილობითი შუამდგომლობა, ქალაქ თბილისში, ელდარის ქუჩა N12-ში მცხოვრები, დევნილის სტატუსის არმქონე მოქალაქეებისათვის, 2009 წლიდან დაკავებული საცხოვრებელი ფართების სიმბოლურ ფასად პრივატიზების მიზნით, კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით, ამასთან, სააგენტოს გამგეობის მიერ წარედგინა, შემდეგი სახის ინფორმაცია:

- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის მთავარი სამმართველოს პოლიციის პირველი სამმართველოს მიერ გაცემული ინფორმაციით, დასტურდება დაინტერესებულ პირთა მიერ, 2009, 2010, 2011, 2013 და 2015 წლებიდან ცხოვრების ფაქტის ნამდვილობა.
- ცხოვრების ფაქტის ხანგრძლივობას ასევე ადასტურებს, სამგორის რაიონის გამგეობის მე-3 მასივის საუბნო განყოფილების მიერ შედგენილი ოქმები და მოქალაქეთა სანოტარო წესით დამოწმებული აქტები.
- საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, დაინტერესებული პირებისა და მათი ოჯახის წევრების სახელებზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე რეგისტრირებული არ არის;

მომხსენებელმა დასმინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია, უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად გადაცემა ხანგრძლივი დროის მანძილზე მცხოვრები პირისთვის და საკითხის თბილისის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ მიზაშეწონილად მიიჩნია პროექტის პირველი პუნქტის სტილისტურად გამართვა და შესაბამისი რედაქციით ჩამოყალიბება.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

15. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილემ მარიამ კვერნაძემ, კომისიათა გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, სხდომის დღის წესრიგის, რიგით მე - 15 საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, მდებარე: ქალაქითბილისი, ფონიჭალის დასახლება 3, კორპუსი N17, 88.35კვ.მ(ს.კ:N01.18.13.024.006.01.067) პირდაპირი განკარგვის ფორმით,

სიმბოლურ ფასად - 1(ერთი) ლარად, მოქალაქე გიორგი ტერტერაშვილისთვის პრივატიზების საკითხზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ, თანხმობის გაცემას.

მომხსნებლის განმარტებით, კრწანისის რაიონის გამგეობას განცხადებით მიმართა მოქალაქე გიორგი ტერტერაშვილმა და ითხოვა მის ფაქტობრივ მფლობელობაში ხანგრძლივი დროის მანძილზე დაკავებული უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად პრივატიზებასთან დაკავშირებით, უფლებამოსილ ორგანოებთან შუამდგომლობის გაწევა, აღნიშნული მოთხოვნის შესაბამისად, კრწანისის რაიონის გამგეობამ, შუამდგომლობებით მიმართა სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს და წარუდგინა საკითხის მოკვლევის შედეგად მიღებული, შემდეგი ინფორმაციის შემცველი დოკუმენტაცია:

- დაინტერესებული პირის მიერ, 28 წლის მანძილზე, ცხოვრების ფაქტის ნამდვილობას ადასტურებს, როგორც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის სამმართველოს პოლიციის IX განყოფილების მიერ გაცემული დოკუმენტაცია, ასევე, ნოტარიულად დამოწმებული ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „იმედის“ კრების ოქმი;
- საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების მიხედვით, გიორგი ტერტერაშვილისა და მისი ოჯახის წევრებზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე, რეგისტრირებული არ არის.

მომხსნებელმა ასევე დასძინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მოიწონა და შესაძლებლად მიიჩნია, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ მიზანშეწონილად მიიჩნია, პროექტის სათაურის ტექნიკურად გამართვა და განკარგულების პროექტის პირველ პუნქტში ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის განკარგულების სათაურის სწორი ფორმით მითითება.

გადაწყვიტება:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინება:

16. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილემ მარიამ კვერნაძემ, კომისიათა გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, სხდომის დღის წესრიგის, რიგით მე - 16 საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, მდებარე: ქალაქი თბილისი, რუსთავის გზატკეცილი N28ა, მე-5 უძრავი ქონების, მდებარე: ქალაქი თბილისი, რუსთავის გზატკეცილი N28ა, მე-5 სართულიბინა N59, 33.06 კვ.მ (ს/კ: N01.18.12.010.006.01.059) პირდაპირი განკარვის ფორმით,

სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად, მოქალაქე მოქალაქე ლაშა გიგოიძისთვის პრივატიზების საკითხზე ქალაქ თბილისის საკრებულოს მიერ თანხმობის გაცემას.

მომხსენებლის განმარტებით, კრწანისის რაიონის გამგეობას განცხადებით მიმართა მოქალაქე ლაშა გიგოიძემ და ითხოვა მის ფაქტობრივ მფლობელობაში, ხანგრძლივი დროის მანძილზე არსებული საცხოვრებელი ფართის პრივატიზების მიზნით, უფლებამოსილ ორგანოებთა შუამდგომლობის გაწევა, ხოლო, გამგეობამ, აღნიშნული მოთხოვნის შესაბამისად, საკითხის შესწავლის შემდგომ, შუამდგომლობით მიმართა სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს და წარუდგინა შემდეგი ინფორმაციის შემცველი დოკუმენტაცია:

- დაინტერესებული პირის მიერ, უძრავ ქონებაში 1995 წლიდან ცხოვრების ფაქტის ნამდვილობას ადასტურებს, როგორც, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ.თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის მთავარი სამმართველოს პოლიციის IX სამმართველოს მიერ გაცემული დოკუმენტაცია, მოქალაქეების სანოტარო წესით დამოწმებული განცხადება და კრწანისის რაიონის გამგეობის საუბნო განყოფილების მიერ შედგენილი ოქმი;
- საჯარო რეესტრის ინფორმაციით, დაინტერესებული პირისა და მისი ოჯახის წევრის სახელებზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთზერეგისტრირებული არ არის.

მომხსენებელმა დასძინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია, უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად ხანგრძლივი დროის მანძილზე მცხოვრები პირისათვის პრივატიზების საკითხის თბილისის საკურებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ მიზანშეწონილად მიიჩნია, პროექტის სათაურში სიტყვების საკითხის „შეთანხმების ჩამატება“ და პროექტის პირველ პუნქტში ტექნიკური ხასიათის ხარვეზის გასწორება, შესაბამისი რედაქციით ჩამოყალიბების მიზნით.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნების მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

17. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილემ მარიამ კვერნაძემ კომისიათა გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, სხდომის დღის წესრიგის, რიგით მე – 17 საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განვარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, მდებარე: ქალაქი თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩა N44, 83.37 კვ.მ (ს/კ: N01.14.05.009.01.511) პირდაპირი განვარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად, მოქალაქე ფატიმა კვიტანძისთვის პრივატიზების საკითხზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ თანხმობის გაცემას.

მომხსენებლის განმარტებით, ვაკის რაიონის გამგეობას განცხადებით მიმართა მოქალაქე ფატიმა კვიტანძემ და ითხოვა მისი ოჯახის ფაქტობრივ მფლობელობაში, ხანგრძლივი დორის მანძილზე არსებული უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად პროვატიზებასთან დაკავშირებით, უფლებამოსილ ორგანოებთან შუამდგომლობის გაწევა, აღნიშნული თხოვნის შესაბამისად, გამგეობამ, საკითხის შესწავლის შემდგომ შუამდგომლობით მიმართა სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს და წარუდგინა, კვლევის შედეგად მიღებული შემდეგი ინფორმაციის შემცველი დოკუმენტაცია:

- დაინტერესებული პირის მიერ, უძრავ ქონებაში 2002 წლიდან ცხოვრების ფაქტის ნამდვილობას ადასტურებს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ.თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს მთავარი სამმართველოს პოლიციის II სამმართველოს მიერ გაცემული დოკუმენტაცია, ასევე, მოქალაქეების სანოტარო წესით დამოწმებული განცხადება და ვაკის რაიონის გამგეობა-ვაჟა-ფშაველას საუბნო განყოფილების მიერ შედგენილი დოკუმენტი;
- საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, დაინტერესებული პირის სახელზე საკუთრება უძრავ ნივთზე რეგისტრირებული არ არის, ხოლო, მისი ოჯახის წევრების სახელებზე რეგისტრირებულია, თანასაკუთრების უფლებები, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის, ინგირის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე 3121 კვ.მ მიწის ნაკვეთსა და მასზე განთავსებულ შენობა-ნაგებობებაზე, ასევე, სოფელ ორულუში მდებარე 12501 კვ.მ მიწის ნაკვეთსა და მასზე განთავსებულ შენობა-ნაგებობაზე;
- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს ინფორმაციით, დევნილთა მონაცემთა ბაზაში, დაინტერესებული პირი და მისი ოჯახის წევრები დევნილად რეგისტრირებული არ არიან.

მომხსენებლის მითითებით, ქალაქ თბილისის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად ხანგრძლივი დროის მანძილზე მცხოვრები მოქალაქისათვის პრივატიზების საკითხის ქალაქ თბილისის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ მიზანშეწონილად მიიჩნია პროექტის სათაურის შესაბამისი რედაქციით ჩამოყალიბება და პროექტის პირველ პუნქტში, ტექნიკური ხარვეზის გასწორება, მოქალაქის სახელის მითითების ნაწილში.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

18. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილემ მარიამ კვერნაძემ, კომისიათა გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, სხდომის დღის წესრიგის, რიგით მე - 18 საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, მდებარე: ქალაქი თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩა №48 (ს/კ: № 01.14.05.003.007), პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად, ხანგრძლივი დროის მანძილზე მცხოვრები მოქალაქებისათვის: თამარი მირზოევასთვის - 18.33 კვ. მ., თამთა კვაჩიძესთვის - 39.55 კვ. მ. და მერი მუშკუდიანისთვის - 51.65 კვ. მ. საცხოვრებელის ფართების პროვატიზების საკითხზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ თანხმობის გაცემას.

მომხსენებლის განმარტებით, დაინტერესებულმა პირებმა განცხადებებით მიმართეს ვაკის რაიონის გამგეობას და ითხოვეს, ხანგრძლივი დროის მანძილზე, მათ მიერ, ფაქტობრივად დაგვავებული უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად პრივატიზების მიზნით, უფლებამოსილ ორგანოებთან შუამდგომლობის გაწევა, აღნიშნული თხოვნის შესაბამისად, გამგეობამ საკითხის შესწავლის შემდგომ, შუამდგომლობით მიმართა სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს და წარუდგინა მოკვლევის შემდგომ მიღებული, შემდეგი ინფორმაციის შემცველი დოკუმენტაცია:

- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს სამმართველოს პოლიციის II განყოფილების მიერ გაცემული დოკუმენტებით დასტურდება - თამთა კვაჩიძის - 2012 წლიდან, მერი მუშკუდიანისა და თამარ მირზოევას 2002 წლიდან საცხოვრებელ ფართებში ცხოვრების ფაქტის ნამდვილობა; პირთა ცხოვრევის ფაქტის ხანგრძლივობას ასევე ადასტურებენ მოქალაქეები სანოტარო წესით დამოწმებული განცხადებებით;
- სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზის ამონაწერით, თამთა კვაჩიძის ოჯახს მინიჭებული აქვს 1000 სარეიტინგო ქულა.

მომხსენებლის მითითებით, ქალაქ თბილისის მთავრობამ გადაწყვიტა, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების ქალაქ თბილისის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ მიზანშეწონილად მიიჩნია პროექტის სათაურის შესაბამისი რედაქციით ჩამოყალიბება, პროექტის პირველ პუნქტში ტექნიკური ხასიათის ხარვეზების გასწორება და მე-2 პუნქტის სტილისტურად გამართვა.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

19. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილემ მარიამ კვერნაძემ კომისიათა გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო

ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, სხდომის დღის წესრიგის, რიგით მე – 19 საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, მდებარე: ქალაქი თბილისი, გახოკიძის ქუჩა N79 (ს/კ: N01.19.19.003.013) მდებარე უძრავი ქონების, ხანგრძლივი დროის მანძილზე მცხოვრები შემდეგი პირთათვის, პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზების საკითხზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ თანხმობის გაცემას:

- ბესიკ შაყულაშვილს გადაცემა 138.64კვ.მ; ბადრი ედიშერაშვილს გადაეცემა -26.67კვ.მ; ელზა სალთხუციშვილს გადაეცემა - 29.47კვ.მ და 41.08კვ.მ; ნინო ეპიტაშვილს გადაეცემა - 39.44კვ.მ; აღნიშნულ პირებს საერთო ჯამში გადაეცემათ 275.3 კვ.მ უძრავი ქონება.

მომხსენებლის განმარტებით, სამგორის რაიონის გამგეობას განცხადებით მიმართეს ზემო მითითებულმა, დევნილის სტატუსის არმქონე მოქალაქეებმა და ითხოვეს მათ ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად პრივატიზების მიზნით, უფლებამოსილ ორგანოებთან შუამდგომლობის გაწევა, აღნიშნული თხოვნის შესაბამისად, გამგეობის მიერ, საკითხის შესწავლის შემდგომ, შუამდგომლობა წარედგინა სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს და წარედგინა, კვლევის შედეგად მიღებული, შემდეგი ინფორმაციის შემცველი დოკუმენტაცია:

- დაინტერესებულ პირთა მიერ, უძრავ ქონებაში 20–30 წლის მანძილზე ცხოვრების ფაქტის ნამდვილობას ადასტურებს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ.თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის მთავარი სამმართველოს პოლიციის I სამმართველოს მიერ გაცემული დოკუმენტაცია, ამასთან, მეზობლები სანოტარო წესით დამოწმებული თანხმობით, ადასტურებენ, დაინტერესებულ პირთა მიერ, 1990–1995 წლებიდან ცხოვრების ფაქტის ნამდვილობას;
- საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების მიხედვით, ზემოაღნიშნულ პირებზესაკუთრების უფლება უძრავ ნივთზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მასშტაბით რეგისტრირებული არ არის.

მომხსენებელმა დასძინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მოიწონა და შესაძლებლად მიიჩნია, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებისპირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

20. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილემ მარიამ კვერნაძემ, კომისიათა გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო,

ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, სხდომის დღის წესრიგის, რიგით მე – 20 საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული უძრავი ქონების, მდებარე: ქალაქი თბილისი, დაბა კოჯორი, იუნკერთა ქუჩა N37, სართული 1, ბინა N5, 45.80 კვ.მ (ს/კ 81.01.06.342.01.005) პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად 1(ერთი) ლარად, ხანგრძლივი დროის მანძილზე მცხოვრები, მოქალაქე ნანა მელიქიშვილისთვის პრივატიზების საკითხზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ თანხმობის გაცემას,

მომხსენებლის განმარტებით, მთაწმინდის რაიონის გამგეობას განცხადებით მიმართა მოქალაქე ნანა მელიქიშვილმა და ითხოვა ხანგრძლივი დროის მანძილზე, მის ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული საცხოვრებელი ფართის სიმბოლურ ფასად პროვატიზებასთან დაკავშირებით, უფლებამოსილ ორგანოებთან შუამდგომლობის გაწევა, აღნიშნული მოთხოვნის შესაბამისად, გამგეობამ, საკითხის შესწავლის შემდგომ, მიმართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერს, საქართველოს კონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან შუამდგომლობის გაწევის თხოვნით, დაინტრესებული პირის მიერ დაკავებული უძრავი ქონების მუნიციპალიტეტის ბალანსზე ასახვისა და მოქალაქისათვის სიმბოლურ ფასად, პირდაპირი განკარგვის წესით, პრივატიზების მიზნით.

მომხსენებელმა ასევე მიუთითა, რომ გამგეობის მიერ, საკითხთან დაკავშირებით სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს წარედგინა, საკითხთან დაკავშირებით, მოპოვებული, შემდეგი ინფორმაციის შემცველი დოკუმენტაცია:

- დაინტრესებული პირის მიერ, უძრავ ქონებაში 1998 წლიდან ცხოვრების ფაქტის ნამდვილობას ადასტურებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ძევლი თბილისის სამართველოს მიერ გაცემული დოკუმენტაცია, ასევე, შესაბამისი მოქალაქეების სანოტარო წესით დამოწმებული აქტები.
- საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით, ნანა მელიქიშვილის სახელზე საკუთრების უფლება რეგისტრირებულია ქ. თბილისში, დაბა კოჯორში არსებულ 600 კვ.მ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 81.01.04.338);
- სსიპ - დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს, დევნილთა მონაცემთა ბაზის მიხედვით, ნანა მელიქიშვილი დევნილად რეგისტრირებული არ არის.
- ნანა მელიქიშვილის ოჯახის წევრები, წერილობითი ფორმით, აცხადებენ თანხმობას, რომ აღნიშნული ფართი გაფორმდეს ნანა მელიქიშვილის სახელზე.

მომხსენებელმა დასძინა, რომ ქალაქ თბილისის მთავრობამ, მიზანშეწონილად მიიჩნია უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად, ხანგრძლივი დროის მანძილზე მცხოვრები პირისათვის პრივატიზების საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ მიზანშეწონილად მიიჩნია, პროექტის სათაურის რედაქტირება შესაბამისი ფორმით ჩამოყალიბების მიზნით.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

21. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილემ მარიამ კვერნაძემ კომისიათა გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, სხდომის დღის წესრიგის, რიგით 21-ე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, მუნიციპალიტეტის საკუთრებული უძრავი ქონების, მდებარე: ქალაქი თბილისი, სიფელი ოქროყანა, დავით გურამიშვილის ქუჩა N6-12, სართული 1, ბინა N1, 57.74 კვ.მ. უძრავი ქონების (ს/კ: N01.15.07.003.059.01.001) პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი), მოქალაქე სერგო ლემონჯავასათვის პრივატიზების საკითხზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ თანხმობის გაცემას.

მომხსენებლის განმარტებით, მთაწმინდის რაიონის გამგეობას განცხადებით მიმართა ზეაღნიშნულმა პირმა და ითხოვა, ხანგრძლივი დროის მანძილზე, ფაქტობრივად დაკავებული უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად პრივატიზებასთან დაკავშირებით, უფლებამოსილ ორგანოებთან შუამდგომლობის გაწევა, აღნიშნული მოთხოვნის შესაბამისად ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთაწმინდის რაიონის გამგეობამ, საკითხის შესწავლის შემდგომ, რეკომენდაციით მიმართა, როგორც, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერს, ისე, დოკუმენტაცია:

- დაინტერესებული პირის მიერ, უძრავ ქონებაში ცხოვრების ფაქტის ნამდვილობას ადასტურებს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის მველი თბილისის სამსართველოსმიერ გაცემული დოკუმენტაცია, ასევე, მოქალაქეები, სანოტარო წესით დამოწმებული აქტებით ადასტურებენ დაინტერესებული პირის 1993 წლიდან ცხოვრების ფაქტის ნამდვილობას, რასაც ასევე ადასტურებს, მთაწმინდა-სოლოლალიკის საუბნო განყოფილების გამოკითხვის ოქმები;
- საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, დაინტერესებული პირის საკუთრების უფლება უძრავნივთზე, რეგისტრირებული არ არის;

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად ხანგრძლივი დროის მანძილზე პირისათვის პრივატიზების საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესაბამისი ფორმით ჩამოყალიბების მიზნით.

აზრი გამოთქვება:

კომისიის თავმჯდომარემ მიზანშეწონილად მიიჩნია, პროექტის სათაურის რედაქტირება შესაბამისი ფორმით ჩამოყალიბების მიზნით.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

22. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილემ მარიამ კვერნაძემ, კომისიათა გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, სხდომის დღის წესრიგის, რიგით 22-ე საკითხად პროექტი, რაც ითვალისწინებს, ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, ზესიკის ქუჩა N9-ში (ს/კ: N01.15.07.003.056.01.001) სართული 1, ბინა N1, მდებარე 62.91 კვ.მ უმრავი ქონების მოქალაქე გიორგი ბარაჩაშვილისთვის, რომელიც დაახლოებით 31 წელიწადია ფლობს და სარგებლობს აღნიშნულ უმრავ ქონებას პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზების საკითხზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

მომხსენებლის განმარტებით, მთაწმინდის რაიონის გამგეობას განცხადებით მიმართა მოქალაქე გიორგი ბარაჩაშვილმა და ითხოვა ფაქტობრივად დაკავებული უმრავი ქონების სიბოლოურ ფასად პრივატიზებასთან დაკავშირებით უფლებამოსილ ორგანოებთან შუამდგომლობის გაწევა, გამგეობის მიერ, საკითხის შესწავლის შემდგომ, შუამდგომლობა წარედგინა სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს, კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით და ასევე, შემდეგი ინფორმაციის შემცველი დოკუმენტაცია:

- დაინტერესებული პირის მიერ ოჯახთან ერთად 1990 წლიდან ცხოვრების ფაქტის ნამდვილობას ადასტურებს, შსს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ძველი თბილისის მთავარი სამმართველოს მიერ გაცემული დოკუმენტაცია, რასაც ასევე ადასტურებს, მთაწმინდის რაიონის გამგეობის შესაბამისი საუბრო განყოფილების მიერ შედგენილი გამოკითხვის ოქმები და მეზობლების სანოტარო წესით დამოწმებული ხელმოწერები;
- სსიპ - დევნილთა, კომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს დევნილთა მონაცემთა ბაზის მიხედვით, გიორგი ბარაჩაშვილი დევნილად რეგისტრირებული არ არის;
- საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, უმრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრის ელექტრონული წიგნის მონაცემებით გიორგი ბარაჩაშვილისა და მაყვალა ბარაჩაშვილის სახელებზე საკუთრების უფლება უმრავ ნივთზე რეგისტრირებული არ არის.

მომხსენებლის მითითებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მოიწონა და შესაძლებლად მიიჩნია, ზემოაღნიშნულიუმრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ მიზანშეწონილად მიიჩნია, პროექტის სათაურის ცვლილება და შესაბამისი რედაქციით ჩამოყალიბება.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

23. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსს მოადგილემ მარიამ კვერნაძემ, კომისიათა გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, სხდომის დღის წესრიგის, რიგით 23-ე საკითხად პროექტი, რაც ითვალისწინებს, მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული, უძრავი ქონების, მდებარე: ქალაქი თბილისი, ზღვისუბნის დასახლების მე-11 მ/რ, მე-2 კვარტლის კორპუს N21ა და კორპუს N21ბ (ს/კ: N01.12.02.020.004 და N01.12.02.020.020), ხანგრძლივი დროის მანძილზე მცხოვრები 63 (სამოცდასამი) მოქალაქისათვის (63 ოჯახისათვის), ქალაქ თბილისის მთავრობის შესაბამისი განკარგულების დანართი N1-ით განსაზღვრული ფართობებით (საერთო ჯამში გადაეცემათ - 2996.38 კვ.მ ფართი) პირდაპირი განკარგვის წესით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზების საკითხზე თბილისის საკრებულოს მიერ თანხმობის გაცემას:

როგორც მომხსენებელმა განმარტა, ნაძალადევის რაიონის გამგეობამ წერილობით მიმართა სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს, ზემოაღნიშნულ მისამართზე მცხოვრები მოქალაქეებისათვის, ხანგრძლივი დროის მანძილზე (2000-2012 წლიდან) დაკავებული უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად პრივატიზებასთან დაკავშირებით, შუამდგომლობის გაწევის მიზნით და წარუდგინა, გამგეობის მიერ მოპოვებული, ადმინისტრაციული წარმოების შედეგად მიღებული ინფორმაცია პირთა ცხოვრების ნამდვილობისა და ხანგრძლივობის შესახებ, შემდეგი სახით:

- საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ტექნიკური აღრიცხვის არქივში უძრავი ნივთის ტექნიკური აღრიცხვის ბარათი კონკრეტული მისამართით: ქ. თბილისი, ზღვის უბნის დასახლება მე-11 მიკრო რაიონი, მე-2 კვარტალი, 21ა კორპუსი წარმოდგენილი არ არის,
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქალაქ თბილისის მთავარი სამმართველოს პოლიციის მე-7 სამმართველოს მიერ შედგენილი ოქმების თანახმად:
- 7-8 წლის მანძილზე ცხოვრობენ – აკაკი მაჩიტიძე, სალომე ჩაფიძე, ზურაბ ვაჟარავა, ზაზა ბაგაური, რამაზ მელქაძე, მზია შავიძე, მაკა ხარაიშვილი, ოლეგი ტაბატაძე, ნათა არსენიძე, ნინო ცნობილაძე, ვასილ ვაჩაძე; 9-10 ხნის მანძილზე – მერაბ მჟავანაძე, მანანა ჯოუილაძე, მაია ქარცივაძე, ნანული ფოფხაძე, დავით ნიკოლეიშვილი, რიმა შაქარაშვილი, თემური ვაჟარავა;
- 10 წლზე მეტი ხნის მანძილზე – ინა მეტრეველი, ნათა კუნდუხაშვილი, დავით ხვედელიძე, ანა დაუშვილი, ნათა ჩქარეული, გვანცა ვარდანაშვილი, ლალი ქართველიშვილი, ნუზარ ხვედელიძე, ემზარ ოსეფაშვილი, გრიგოლ ქართველიშვილი, თამთა ჯიყაშვილი, ნანა თავბერიძე, ნოე ბარისაშვილი, სპარტაკ ჩქარეული, დიანა შამუგია,

მერი გაფრინდაშვილი, ჯემალ გოგიშვილი, გოჩა საკნელაშვილი, ფრიდონ აბულაძე; 14–15 წლის მანძილზე ცხოვრობენ – ილია ლომიძე, ჯამბულ დარსანია, კახაბერ ჯიქურიძე, ნონა ფელანგია;

- 15–16 წლის მანძილზე – ნინო მაჭავარიანი, გოჩა ბლაგიძე, დავით კიზივაძე, მერაბ ნადირაძე, გიული ჭყოიძე, გურამ ლობჟანიძე, ალექსანდრე ქიტიაშვილი, ვიოლეტა აფხაზავა, გელა სისაური, ნინო მაისურაძე, ხათუნა მაგნიძე, გელა გულუა, ნინო დონაძე, მამუკა გულუა, რუსულან მეტრეველი; 17–18 წლის მანძილზე – კობა ხუსკივაძე, დურმიშხან დიასამიძე, ბადრი კაცურიძე, ელისო გიგლემიანი, ლამარა რაზმაძე;
- უძრავი ქონების გადაცემით პირთა ცხოვრების ფაქტის ნამდვილობას 2000–2012 წლებიდან ადასტურებს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის „გამარჯვება“ 2021 წლის 7 მარტის კრების ოქმი და ნაძალადევის რაიონის გამგეობის თემქის საუბნო განყოფილების მიერ შედგენილი შემოწმების ოქმები;
- უძრავი ქონების გადაცემით დაინტერესებულ პირს – ბადრი კავაურიძეს, თანასაკუთრების უფლებით (მოქალაქე ცირა მერეკლიშვილთან ერთად) ეკუთვნის ქალაქ თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩის პირველი შესახვევი N11-ში მდებარე 108 კვ.მ. არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი შენობა–ნაგებობასთან ერთად(95.12 კვ.მ), რის თაობაზეც, აღნიშნული მოქალაქე, სანოტარი წესით დამოწმებული განცხადებითგანმარტავს, რომ საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება არის კომერციული დანიშნულების, შენობაში ეწევა კომერციულ საქმიანობას, არ არის გაყვანილი საყოფაცხოვრებო–საკომუნიკაციო საშუალებები და არ შეესაბამება საცხოვრებელ პირობებს, რის დამადასტურებლადაც წარმოდგენილია ქონების ამსახველი ფოტომასალა.
- აღსანიშნავია, რომ მოქალაქის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება შემოწმებულ იქნა ნაძალადევის რაიონის გამგეობის თემქის საუბნო განყოფილების მიერდა დადგენილ იქნა რომ უძრავი ქონება გამოიყენება კომერციული საქმიანობის (ქვის სამხატვრო და მეტალის კონსტრუქციის სამუშაო) განსახორციელებლად.

მომხსენებელმა ისაუბრა ასევე დაინტერესებულ პირთა სახელზე უძრავი ქონების ფლობის საკითხთან დაკავშირებით და მიუთითა შემდეგი: მოქალაქე გოჩა ბლაგიძის სახელზე აღირიცხება ოზურგეთის რიაონის სოფელ ბაილეთში მდებარე მიწის ნაკვეთი; მოქალაქე ნონა ფელანგიას სახელზე აღირიცხება ზუგდიდის რაიონის სოფელ კორცხელში მდებარე სასოფლო–სამეურნეო დანიშნულების 2506 კვ.მ. მიწის ნაკვეთი; მოქალაქე ემზარ ისეფაშვილს სპორადული რეგისტრაციის ფარგლებში, თანასაკუთრების უფლებით, უკუთვნის, მცხეთის რიაონის, სოფელ ნიჩბისში მდებარე, სასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, მოქალაქე ილია ლომიძეს თანასაკუთრების უფლებით ეკუთვნის ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიშხეთში მდებარე მიწის ნაკვეთი;

მომხსენებელმა დასძინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად ხანგრძლივი დროის მანძილზე 63 პირისათვის (ოჯახისათვის) პრივატიზების საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ მიზანშეწონილად მიიჩნია, პროექტის პირველი პუნქტის რედაქტირება სტილისტური თვალსაზრისით გამართულობის მიზნით.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

24. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილემ მარიამ კვერნაძემ კომისიათა გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, სხდომის დღის წესრიგის, რიგით 24-ე საკითხად პროექტი, რაც ითვალისწინებს, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, მდებარე: ქალაქი თბილისი, ყვარლის ქუჩა N103(ს/კ: N01.17.08.025.002.01.510) ხანგრძლივი დროის მანძილზე მცხოვრები მოქალაქე მზია ჭითანავასთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზების საკითხზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ თანხმობის გაცემას.

მომხსენებლის განმარტებით, ისნის რაიონის გამგეობას განცხადებით მიმართა მოქალაქე მზია ჭითანავამ და ითხოვა მის ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად პრივატიზებასთან დაკავშირებით, უფლებამოილ ორგანოებთან შუამდგომლობის გაწევა, ხოლო, გამგეობის მიერ, საკითხის შესწავლის შემდგომ, წერილობითი შუამდგომლობა წარედგინა სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს, შემდეგი ინფორმაციის შემცველ დოკუმენტაციასთან ერთად:

- დაინტერესებული პირის მიერ, უძრავ ქონებაში 37 წლის მანძილზე ცხოვრების ფაქტის წამდვილობას ადასტურებს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ.თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის მთავარი სამმართველოს მიერ გაცემული ინფორმაცია, ასევე, მეზობლების სანოტარო წესით დამოწმებული თანხმობით, აცხადებენ, რომ მოქალაქეს ფართი დაკავებული აქვს 1983 წლიდან.
- საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით, მზია ჭითანავაზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მასშტაბით რეგისტრირებული არ არის.

მომხსენებელის მითითებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მოიწონა და შესაძლებლად მიიჩნია, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ მიზანშეწონილად მიიჩნია პროექტის სათაურის რედაქტირება შესაბამისი ფორმით ჩამოყალიბების მიზნით.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

25. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილემ მარიამ კვერნაძემ, კომისიათა გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, სხდომის დღის წესრიგის, რიგით 25-ე საკითხად პროექტი, რაც ითვალისწინებს, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, მდებარე: ქ. თბილისი, მამია გურიელის ქ. N5a (ს/კ: 01.14.15.001.300.03.03.005ა; 01.14.15.001.300.03.03.518) პირდაპირი განკარგვის წესით ა(ა)იპ - ეკოსოკოსტვის (ს/ნ: 427726348) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემი საკითხზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ თანხმობის გაცემას.

მომხსენებლის განმარტებით, ა(ა)იპ.პ - ეკო სოკოს გამგეობის თავმჯდომარის წარმოდგენელმა, განცხადებებით მიმართა ქ. თბილისის მერიას და აცნობა, რომ 2018 წელს, ორგანიზაციამ - საერთაშორისო ორგანიზაცია „გადავარჩინოთ ბავშვები“ და სსიპ - „ბავშვთა პროექტისთვის - „ხელი ხელს“, რაც განხორციელდა დუშეთში და მის მირითად მიზანს წარმოადგენს შეზღუდული შესაძლებლობის და არაშეზღუდული შესაძლებლობის ახალგაზრდების დასაქმება, მათთვის ახალი პროფესიის (კერვა) შესწავლა, თანაბარუფლებიანი გარემოს შექმნა, ერთიან სივრცეში ადაპტირება, ასევე, მათი თვითრეალიზების ხელშეწყობა, თუმცა, პანდემიური ვითარების გათვალისწინებით, პროექტის ფარგლებში დუშეთის მერიის მიერ უზუფრუქტის უფლებით, 02 წლის ვადით, გადაცემული ქონების ხელშეწყობას ამოეწურა 02 წლიანი ვადა, სამკერვალოში დასასაქმებელი ახალგაზრდების დედაქალაქში საცხოვრებლად გადინება მოხდა, ხოლო, ბენეფიციარების ნაწილი, განსაკუთრებით - შეზღუდული შესაძლებლობის ახალგაზრდები და მათი მეურვეები/მშობლები, პანდემიიდან გამომდინარე უარს ამბობენ დასაქმებაზე, უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხი.

მარიამ კვერნაძემ დასძინა, რომ წარმოდგენილი პროექტის შესაბამისად, განიხილება ორგანიზაციისათვის, მოთხოვნილი ფართების (ს/კ: 01.14.15.001.300.03.03.005ა; 01.14.15.001.300.03.03.518) 02 წლის ვადით პირდაპირი განკარგვის წესით უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხი.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

26. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილემ მარიამ კვერნაძემ, კომისიათა გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, სხდომის დღის წესრიგის, რიგით 26-ე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, მდებარე: ქ. თბილისი, კოსტავასქ. № 54-ის მიმდებარედ 50 კვ.მ. მიწის ნაკვეთის შპს „ბადაგონის სახლი“-ს თვის (ს/ნ №405293926) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით 2023 წლის პირველ სექტემბრამდე, ღია კაფეს მოწყობის მიზნით, გადაცემის საკითხზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ თანხმობის გაცემას.

მომსხენებლის განმარტებით, შპს „ბადაგონის სახლის“ დირექტორმა განცხადებით მიმართა სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს და ითხოვა ქ. თბილისში, კოსტავას ქ. №54-ის მიმდებარედ არსებული 50 კვ.მ.-დან 30 კვ.მ. მიწის ნაკვეთის იჯარით გადაცემა, ღია კაფეს მოსაწყობად, 2023 წლის 1 სექტემბრამდე, ამასთან, აცნობა რომ საჯარო რეესტრიდან ამონაწერით შპს „ბადაგონის სახლი“ სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით ფლობს ქ. თბილისში, მერაბ კოსტავას ქ. №60-ში მდებარე ფართებს 2023 წლის 1 სექტემბრამდე ვადით;

მარიამ კვერნაძის განმარტებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის პოზიციით, შპს „ბადაგონის სახლის“ დაინტერესებაში არსებულ ტერიტორიაზე მოქმედ ფუნქციურ ზონაში (ტზ-1) დაუშვებელია აღნიშნული კომპანიის მიერ წარმოდგენილ ფოტომონტაჟზე ნაჩვენები ელემენტების და კონსტრუქციების განთავსება; ხოლო, ღია კაფეს მოწყობასთან (მაგიდისა და სკამების განთავსება) დაკავშირებით ნებართვის გაცემა, სამსახურის განმარტებით, სცდება მისი კომპეტენციის ფარგლებს; აღნიშნულის გათვალისწინებით, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოში შპს „ბადაგონის სახლის“ დირექტორმა თანხმობა განცხადა ღია კაფეს მოწყობაზე შპს „ბადაგონის სახლის“ მიერ წარმოდგენილ ზემოაღნიშნულ ფოტომონტაჟზე ნაჩვენები ელემენტების და კონსტრუქციების განთავსების გარეშე.

მომსხენებელმა ასევე აღნიშნა, რომ სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, შპს „ბადაგონის სახლის“ დაინტერესებაში არსებული ტერიტორიის მთლიანმა წლიურმა საბაზრო საიჯარო ქირამ 2021 წლის 17 სექტემბრის მდგომარეობით საორიენტაციოდ შეადგინა 5400 ლარი, რაც, სხვა შესაბამის ღონისძიებებთან ერთად გათვალისწინებულ იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ და შესაძლებლად იქნა მიჩნეული დაინტერესებაში არსებული ტერიტორიიდან 30 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ბადაგონის სახლი“-ს თვის იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით 2023 წლის პირველ სექტემბრამდე ვადით, საიჯარო ქირის წლიური საფასურის - 5400 (ზუთიათას ოთხასი) ლარის ოდენობით გადაცემის თაობაზე საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ მიზანშეწონილად მიიჩნია, პროექტის სათაურში და პირველ პუნქტში ტექნიკური ხასიათის შეცდომების გასწორება, ხოლო, პროექტის მე-2 პუნქტის სტილისტური თვალსაზრისით გამართვა.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შეცდომების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

27. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილემ მარიამ კვერნაძემ, კომისიათა გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, სხდომის დღის წესრიგის, რიგით 27-ე საკითხად პროექტი, რაც ითვალისწინებს, მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მდებარე:ქ. თბილისი, რუსთაველის გამზირი N36-38-ის მიმდებარედ 68 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: 01.15.009.026) 10 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „რუსთაველი 36“-ისთვის (ს/კ: 406190376) სარგებლობის უფლებით, 05 წლის ვადით, ღია კაფეს მოწყობის მიზნით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ თანხმობის გაცემას.

მომხსენებლის მითითებით, შპს „რუსთაველი 36“-ის, რომლის საკუთრებაშია ქ. თბილისში, რუსთაველის გამზ. N36-ში მდებარე ფართი (ს/კ: 01.15.009.007.01.511). დირექტორმა განცხადებით მიმართა სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს და ითხოვა ქ. თბილისში, რუსთაველის გამზირი N36-38-ის მიმდებარედ არსებული 68 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან 10 კვ.მ. მიწის ნაკვეთის 5 წლის ვადით იჯარით გადაცემა, ღია კაფეს მოსაწყობად.

მომხსენებელმა დასმინა, რომ სსიპ - ლევან სამხარაულის სახელმობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნით, დაინტერესებაში არსებული ტერიტორიის წლიური საბაზრო საიჯარო ქირის ოდენობა, 2021 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით საორიენტაციოდ შეადგინს 1 800 (ათას რვაასი) ლარს, ხოლო, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილმა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს, 2021 წლის 19 აგვისტოს გადაწყვეტილებით, დადებითი შეფასება მიეცა ღია კაფეს გასათავსებლად 10 კვ.მ. მიწის ნაკვეთის იჯარით განკარგვის საკითხს, ხოლო, ყოველივე მითითებულის გათვალისწინებით კი, ქალაქ თბილისის მთავრობამ იმსჯელა და მიზანშეწონილად მიიჩნია, დაინტერესებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით - შპს „რუსთაველი 36“-ისთვის 5 წლის ვადით, საიჯარო ქირის წლიური საფასური 1 800 (ათას რვაასი) ლარის ოდენობით გადაცემის საკითხის ქალაქ თბილისის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

28. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ ლევან ჟორჟოლიანმა კომისიათა სხდომაზე დამსწრე წევრებს

გააცნო ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, სხდომის დღის წესრიგის, რიგით- 28-ე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, ქ. თბილისში, შარტავას ქ. N3 (ს/კ N 01.10.13.015.112), შარტავას ქ. N1 (ს/კ N 01.10.13.015.114), პეტრე იბერის ქ. N6, კორპუსი 14, (ს/კ N 01.10.06.001.115), აკ.ბაქრაძის ქ N16 (ყოფილი მარშალ გელოვანის გამზირი N1a-18, დიღმის მასივის II კვარტლის მიმდებარედ, (ს/კ N01.10.10.025.029), კოსმონავტების ქ. N45-47-49 (ს/კ N01.13.05.004.173, 01.13.05.004.059, 01.13.05.004.142), ბოხუას ქ. N10 (ს/კ N01.13.02.005.006), მარიჯანის ქ. N2 (ს/კ N01.14.03.039.007) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ (ს/კ 204460957) და შპს „ისანი 1“-ის (ს/ნ 402036658) მიმართ, მისამართზე - ქ. თბილისი, ქუჩა ჩოლოფაშვილის, კვარტალი II, კორპუსი N1-ის მიმდებარედ (ს/კ N01.17.14.003.706) არსებულ მიწის ნაკვეთზე მდებარე სამშენებლო ობიექტთან მიმართებაში ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის ქალაქ თბილისის საკრებულოსთან შეთანხმებას, ამასთან, პროექტის მოწონების შესახებ ქალაქ თბილისის მთავრობის შესაბამის განკარგულებასთან ერთად წარმოდგენილია, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველი კომისიის სხდომის N24 ოქმი.

ლევან ქორქოლიანმა მოხსენების დასაწყიში, კომისიის წევრებს შეახსენა, „ტექნიკური რეგლამენტის - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების მირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის N59 დადგენილებით დამტკიცებული „ტექნიკური რეგლამენტი - „დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების მირითადი დებულებების“ 35-ე მუხლის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისათვის მინიჭებული უფლებამოსილება: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული დაუმთავრებელი შენობა-ნაგებობის მშენებლობის დასრულებისა და მუნიციპალიტეტის იერსახის გაუმჯობესების მიზნით, დაუმთავრებელი მშენებლობების მიმართ გამოიყენოს კანონმდებლობით განსაზღვრული ხელშემწყობი ღონისძიებები, ამასთან, დასძინა, რომ დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით, ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებისას, უზრუნველყოფილ უნდა იქნეს საჯარო და კერძო ინტერესების შეთანხმება.

ლევან ქორქოლიანმა აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველ კომისიას შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფმა“ და შპს „ისანი 1“-მა შპს „EPIC DEVELOPMENT“ და ითხოვეს მისამართებზე - ქ. თბილისი, შარტავას ქ. N3, შარტავას ქ. N1, პეტრე იბერის ქ. N6, კორპუსი 14, აკ.ბაქრაძის ქ. N16, კოსმონავტების ქ. N45-47-49, ბოხუას ქ. N10, მარიჯანის ქ. N2 არსებული სამშენებლო ობიექტების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენება, ხოლო, კომისიის მიერ, 2021 წლის 15 ოქტომბრის სხდომაზე საკითხის განხილვის დროს გამოიკვეთა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

- კომისიამ გასცა დადებითი რეკომენდაციები შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ და მასთან აფელირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის მხარდაჭერი ღონისძიებების გამოყენების თაობაზე, მათ შორის იმ ობიექტებზეც, სადაც და/ან მოხდეს კერძო პირთა მიმართ თბილისის პროკურატურის მიერ მოწოდებული

კლიენტთა სიის შესაბამისად ფინანსური ვალდებულებების შესრულება. კერძოდ, შემდეგ მისამართებზე:

- ქ. თბილისი, შარტავას ქ. N3; ქ. თბილისი, პეტრე იბერის ქ. N6, კორპუსი 14, ქ. თბილისი, ავ.ბაქრაძის ქ N16; ქ. თბილისი, კოსმონავტების ქ. N45-47-49; ქ. თბილისი, ბოხუას ქ. N10; ქ. თბილისი, შარტავას ქ. N1; ქ. თბილისი, მარიჯანის ქ. N2;

როგორც მომხსნებელმა აღნიშნა, ამ ეტაპზე, ყველა აღნიშნულ ობიექტზე მიმდინარეობს სხვადასხვა ტიპის სამუშაოები: როგორც ნებართვის აღების პროცედურები, ასევე, უშუალოდ სარემონტო/სადემონტაჟო/სამშენებლო სამუშაოები, ამასთან, დასმინა, რომ შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფი“-ს მიერ, ზემოაღნიშნულ ობიექტზე დარჩენილი სამუშაოების დასრულებისა შენობა-ნაგებობების ექსპლუატაციაში შესვლისათვის, შპს „სი ემ სი“-სა და შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფს“, შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფთან“ აფელირებულ კომპანიებს (შპს „მარიჯანი, შპს „გეითვეი ჰოლდინგი“, შპს „დაკიდებული ბალები“, შპს „დიღომი დისტრიქტ აფართმენტს“, იბა ამხანაგობა „ახალი დიღომი“) შორის გაფორმდა წინასამშენებლო სამუშაოებისა და მშენებლობის ზედამხედველობის შესახებ ხელშეკრულება, რის მიხედვითაც, შპს „სიემსი“, მათ შორის, შეასრულებს პროექტის მენეჯმენტს, წინასამშენებლო მომსახურებას, ასევე, მის კომპეტენციის ფარგლებში ყველა იმ მომსახურებას, რაც ხელშეკრულებებით არ არის გათვალისწინებული, თუმცა საჭიროა, რომ მოცემული პროექტი დასრულებულ იქნას დროულად და ხარისხიანად, მათ შორის, ტენდერის ჩატარებასთან დაკავშირებულ ღონისძიებებს.

ლევან ქორუოლიანმა მიუთითა, რომ შპს „სი ემ სი“-ს მიერ მომზადებულ იქნა არსებული სამშენებლო ობიექტების დასრულებისა და ექსპლუატაციაში მიღებისთვის საჭირო ჩასატარებელი სამშენებლო სამუშაოების ნუსხა და ხარჯთაღრიცხვა, ხოლო სამუშაების წარმართვისათვის საჭიროა გარკვეული თანხების მობილიზება, რასთან დაკავშირებითაც, კომისიას განაცხადით და საპროექტო წინადადებით მიმართეს შპს „ისანი 1“-მა და შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ და მასთან აფელირებული კომპანიების წარმომადგენელმა;

მომხსნებლის მითითებით, შპს „ისანი 1“-ის საკუთრებაშია მისამართზე - ქ. თბილისი, ქუჩა ჩოლოყაშვილის, კვარტალი II, კორპუსი N1-ის მიმდებარედ არსებული 3013 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, რაზეც მოქმედი მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მიხედვით, ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6). ამასთან, აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე ვრცელდება: (კ-1) – 0.2; (კ-2) – 2.5; (კ-3) – 0.3, მიწის ნაკვეთზე, ამ ეტაპზე, მიმდინარეობს მრავალბინანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის მოსამზადებელი სამუშაოები, შეთანხმებული პროექტით, საცხოვრებელი სახლი წარმოადგენს 12 სართულიან შენობას, ხოლო, არქიტექტურული პროექტის შეთანხმების შემთხვევაში, კომპანია გეგმავს მრავალბინანი საცხოვრებელი სახლის 2 ბლოკის მშენებლობას - თითოეული 11 საცხოვრებელი სართულის ოდენობით;

ლევან ქორუოლიანმა ისაუბრა იმ ღონისძიებებზე, რასაც ითხოვენ ქ. თბილისი, ქუჩა ჩოლოყაშვილის, კვარტალი II, კორპუსი N1-ის მიმდებარე მიწის ნაკვეთზე დაინტერესებული პირები მხარდამჭერი ღონისძიებების ფარგლებში, კერძოდ:

- ა) მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის გადამეტებას - კ-2 – 2.5 -დან 3.1 -მდე;
- ბ) არსებული აგდ-ს კორექტირებას, კერძოდ, 1 ბლოკიანი საცხ. სახლი შეიცვალოს 2 ბლოკიან საცხ. სახლად;
- გ) არ იქნას გათვალისწინებული „ტენიკური რეგლამენტის - შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის N41 დადგენილების ფარგლებში: შენობების სიმაღლის განმსაზღვრელი მოქმედი ნორმები; ავტოსადგომების რაოდენობა; საცხოვრებელ ბლოკებს შორის მანძილი და წითელი ხაზის მიჯნა;

მომხსენებლის მითითებით, კომპანია აღნიშნავს, რომ მას შემდეგ, როგორც კი კომისია განიხილავს შეთავაზებულ წინადადებას და მიღებულ იქნება შესაბამისი გადაწყვეტილება, კომპანია მყისიერად დაიწყებს აღნიშნულ არქიტექტურულ პროექტზე კორექტირებით სამუშაოებს და წარმოადგენს აკრედიტებული ორგანიზაციების მიერ გაცემულ ყველა (მათ შორის კონსტრუქციული მდგრადობის) შესაბამის დასკვნას, კორექტირებული სანებართვო დოკუმენტაციის მიღების მიზნით;

მომხსენებლის მითითებით, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნით, ქ. თბილისში, ჩოლოყაშვილი ქუჩა, II კვარტალი, კორპუსი N1-ის მიმდებარედ არსებული N01.17.14.003.706 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 3013 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან 1 კვ.მ.-ის საბაზრო ღირებულება 2021 წლის 12 ივლისის მდგომარეობით საორიენტაციოდ შეადგენს 123 აშშ დოლარს, რაც შესაბამისი გაცელითი კურსით ეროვნულ ვალუტაში (3.1459) შეადგენს 387 ლარს, ამასთან, დასმინა, რომ იმ შემთხვევაში, თუ კომისია შპს „ისანი 1“-ის საპროექტო წინადადებას განიხილავს, როგორც დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის მხარდაჭერ ღონისძიებას და მიღებული იქნება შესაბამისი განკარგულებები, კომპანია გამოთქვამს მზაობას, აანაზღაუროს ზემოხსენებულ მისამართებზე არსებული სამშენებლო ობიექტების დასრულებისთვის სამშენებლო სამუშაოების ღირებულების ნაწილი, ჯამურად 220 000 ლარის ოდენობით.

ლევან ჟორჯოლიანმა ისაუბრა კომისიის მიერ სხდომაზე საკითხთან დაკავშირებით გამოთქმული მოსაზრებების შესახებ, შემდეგი სახით: შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ და მასთან აფელირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების (მათ შორის ექსპლუატაციაში მიუღებელი შენობა-ნაგებობების) დასრულების მიმართ არის მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი, შენობა-ნაგებობების დასრულებას და ექსპლუატაციაში მიღებას ელოდება ათასობით დაზარალებული პირი/ოჯახი, მათ შორის, ემიგრაციაში მყოფი მოქალაქეები, რომლებიც სამშობლოში ვერ ბრუნდებიან საცხოვრისის არქონის გამო, ხოლო, ქ. თბილისი, შარტავას ქ. N3, პეტრე იბერის ქ. N6, კორპუსი 14, აკ. ბაქრაძის ქ N16, კოსმონავტების ქ. N45-47-49, ბოხუას ქ. N10-ში არსებულ სამშენებლო ობიექტებზე ჩასატარებელია მთელი რიგი სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები, რომ შეიძლება ადგილობრივი მაცხოვრებლებისთვის შესაბამისი საცხოვრისი და უსაფრთხო გარემო, ამასთან, მისამართებზე - ქ. თბილისი, შარტავას ქ. N1, ქ. თბილისი, მარიჯანის ქ. N2 ჩასატარებელია არსებული სამშენებლო ობიექტის სადემონტაჟო და ახალი სამშენებლო ობიექტის სამშენებლო სამუშაოები, ხოლო, თბილისის პროკურატურის მიერ 2020 წლის 16 ოქტომბრის შესაბამისი წერილით

წარმოდგენილი კლიენტთა სიის შესაბამისად საჭიროა კერძო პირთა ნაწილის მიმართ არსებული ფინანსური ვალდებულებების შესრულება, რისთვისაც, საჭიროა ჩასატარებელი სამშენებლო სამუშაოების ნუსხისა და ხარჯთაღრიცხვის მიხედვით საჭიროა სოლიდური თანხის მობილიზება, შესაბამისად, კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია:

■ ქ. თბილისი, ჩოლოყაშვილის ქუჩა, კვარტალი II, კორპუსი N1-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე მდებარე სამშენებლო ობიექტთან მიმართებაში წარმოდგენილი საპროექტო წინადადება განხილულ იქნას, როგორც შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ და მასთან აფელირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების მხარდაჭერი ღონისძიება და გაიცეს დადებითი რეკომენდაციები;

■ შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ და მასთან აფელირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის ოდენობა განისაზღვროს შესაბამისი პრინციპით და საანგარიშო ფორმულით; მომხსენებელმა დასძინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ გადაწყვიტა, შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფს“ და შპს „ისანი 1“-ს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობის შემთხვევაში, მისამართებზე - ქ. თბილისი, შარტავას ქ. N3, შარტავას ქ. N1, პეტრე იბერის ქ. N6, კორპუსი 14, აკ.ბაქრაძის ქ N16, კოსმონავტების ქ. N45-47-49, ბოხუას ქ.N10, მარიჯანის ქ.N2 არსებული დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, წარმოდგენილი განცხადების და დოკუმენტაციის ფარგლებში მისამართზე - ქ. თბილისი, ჩოლოყაშვილის ქუჩა კვარტალი II, კორპუსი N1-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე მდებარე სამშენებლო ობიექტთან მიმართებაში განესაზღვროთ შემდეგი ხელშემწყობი ღონისძიებები:

- მოხდეს მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტება კ-2 – 2.5-დან 3.1 - მდე;
- მოხდეს მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების კორექტირება იმგვარად, რომ იგი ითვალისწინებდეს 2 მრავალბინანი საცხოვრებელ სახლის მშენებლობას;
- კორექტირებული არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისას არ იქნას გათვალისწინებული მიწის ნაკვეთზე შენობების განთავსების, სიმაღლის განმსაზღვრელი და დამატებულ ფართობზე ავტოსადგომების რაოდენობასთან მიმართებაში არსებული მოთხოვნები;
- შპს „ისანი 1“-მა შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით თანხის - 88 944 (ოთხმოცდარვა ათას ცხრაას ორმოცდაოთხი) აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში - გადარიცხვა განახორციელოს გადარიცხვის დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფი“, შპს „მარიჯანი, შპს „გეითვე პოლდინგი“, შპს „დაკიდებული ბალეტი“, შპს „დიღომი დისტრიქტ აფართმენტს“, ამხანაგობა „ახალი დიღომი“, ამხანაგობა „თაბუკაშვილი 88“-ს და შპს „სიემსი“-ს შორის 2020 წლის 16 დეკემბერს გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
- შპს „ისანი 1“-მა განსაზღვრული თანხის გადარიცხვა შესაბამისი მემორანდუმით გათვალისწინებული მიზნით შექმნილ სპეციალურ მიზნობრივ ანგარიშზე განახორციელოს მშენებლობის ნებართვის გაცემამდე. ამასთან, თანხის გადახდის ვადა არ უნდა ცდებოდეს

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული ხელშემწყობი ღონისძიებების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებიდან არაუგვიანეს 6 თვის ვადას;

▪ დადგენილი კონკრეტული ვალდებულებების შეუსრულებლობა იწვევს ქალაქ თბილისის მთავრობის შესაბამისი განკარგულებით გათვალისწინებული ხელშემწყობი ღონისძიებების გაუქმებას.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯომარემ მიზანშეწონილად მიიჩნია, პროექტის სათაურის ტექნიკურად გასწორება, პროექტის პირველი პუნქტის ფორმულირებას ცვლილება და განკარგულების პროექტის მე-2 მუხლი ტექნიკურად გამართვა.

მოისმინება:

29. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისიურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ ლევან ჭორულიანმა კომისიათა გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, სხდომის დღის წესრიგის, რიგით 29-ე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, ქ. თბილისში, შარტავას ქ. N3, შარტავას ქ. N1, პეტრე იბერის ქ. N6, კორპუსი 14, აკ. ბაქრაძის ქ.N16, კოსმონავტების ქ. N45-47-49, ბოხუას ქ. N10, მარიჯანის ქ.N2 არსებული დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ და შპს „გუმბათი ჰოლდინგის“ მიმართ, მისამართზე - ქ. თბილისი, მიხეილ თამარაშვილის გამზირი N13თ, არსებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებაში ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებას, ამასთან, საკითხის მოწონების შესახებ ქალაქ თბილისის მთავრობის შესაბამის განკარგულებასთან ერთად წარმოდგენილია, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველი კომისიის სხდომის N24 ოქმი.

მომხსენებლის განმარტებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველ კომისიას შესაბამისი განცხადებებით მიმართეს შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფმა“ და შპს „გუმბათი ჰოლდინგმა“ და ითხოვეს მისამართებზე - ქ. თბილისი, შარტავას ქ. N3, შარტავას ქ. N1, პეტრე იბერის ქ. N6, კორპუსი 14, აკ. ბაქრაძის ქ N16, კოსმონავტების ქ. N45-47-49, ბოხუას ქ. N10, მარიჯანის ქ.N2 არსებული სამშენებლო ობიექტების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენება, ხოლო, კომისიის მიერ, 2021 წლის 15 ოქტომბრის სხდომაზე საკითხის განხილვის დროს გამოიკვეთა შემდეგი ფაქტორივი გარემოებები:

▪ კომისიამ გასცა დადებითი რეკომენდაციები შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ და მასთან აფელირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის მხარდაჭერი ღონისძიებების გამოყენების თაობაზე, მათ შორის იმ ობიექტებზეც, სადაც სადემონტაჟო/სამშენებლო სამუშაოები ფინანსური მხარდაჭერით უნდა განხორციელდეს და/ან მოხდეს კერძო პირთა მიმართ თბილისის პროკურატურის მიერ მოწოდებული კლიენტთა სიის შესაბამისად ფინანსური ვალდებულებების შესრულება, შემდეგ

მისამართებზე: ქ. თბილისი, შარტავას ქ. N3, ქ. თბილისი, პეტრე იშერის ქ. N6, კორპუსი 14, ქ. თბილისი, აკ.ბაქრაძის ქ N16, ქ. თბილისი, კოსმონავტების ქ. N45-47-49; ქ. თბილისი, ბოხუას ქ. N10, ქ. თბილისი, შარტავას ქ. N1, ქ. თბილისი, მარიჯანის ქ. N2 (ყველა აღნიშნულ ობიექტზე მიმდინარეობს სხვადასხვა ტიპის სამუშაოები: როგორც ნებართვის აღების პროცედურები, ასევე, უშუალოდ სარემონტო/სადემონტაჟო/სამშენებლო სამუშაოები);

- შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფმა“ ზემოაღნიშნულ ობიექტებზე დარჩენილი სამუშაოების დასრულებისა და შენობა-ნაგებობების ექსპლუატაციაში შესვლისათვი, შპს „სი ემ სი“-სა და შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფს“, შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფთან“ აფელირებულ კომპანიებს (შპს „მარიჯანი, შპს „გეითვეტი ჰოლდინგი“, შპს „დაკიდებული ბალები“, შპს „დიღომი დისტრიქტ აფართმენტს“ იბა ამხანაგობა „ახალი დიღომი“ შორის გაფორმდა წინასამშენებლო სამუშაოებისა და მშენებლობის ზედამხედველობის შესახებ ხელშეკრულება, რის მიხედვითაც, შპს „სიემსი“, მათ შორის, შეასრულებს პროექტის მენეჯმენტს, წინასამშენებლო მომსახურებას, ასევე, მის კომპეტენციის ფარგლებში ყველა იმ მომსახურებას, რაც ხელშეკრულებებით არ არის გათვალისწინებული, თუმცა საჭიროა, რომ მოცემული პროექტი დასრულებულ იქნას დროულად და ხარისხიანად, მათ შორის, ტენდერის ჩატარებას;
- შპს „სი ემ სი“-მ მოამზადა ზემოაღნიშნულ მისამართებზე არსებული სამშენებლო ობიექტების დასრულებისა და ექსპლუატაციაში მიღებისთვის საჭირო ჩასატარებელი სამშენებლო სამუშაოების ნუსხა და ხარჯთაღრიცხვა, ხოლო, სამუშაოების წარმართვისათვის საჭიროა გარკვეული თანხების მოზიდვის ურთისება, რასთან დაკავშირებითაც, კომისიას განაცხადით და საპროექტო წინადადებით მიმართეს შპს „გუმბათი ჰოლდინგმა“ და შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ და მასთან აფელირებული კომპანიების წარმომადგენელმა;

მომხსენებლის მითითებით, შპს „გუმბათი ჰოლდინგის“ საკუთრებაშია მისამართზე - ქ. თბილისი, მიხეილ თამარაშვილის გამზირი N13თ - არსებული 2321 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, რაზეც, გაცემულია მშენებლობის ნებართვა რომლის ფარგლებშიც, ამ ეტაპზე, აშენებულია 5 სართული და მასზე ვრცელდება: (კ-1) - 0.5; (კ-2)- 4.1; (კ-3) - 0.2; ამასთან დასძინა, რომ მითითებულ მისამართზე სამშენებლო ობიექტი მოიცავს საცხოვრებელ და საზოგადოებრივ ნაწილს/ბლოკს, ხოლო, დაინტერესებული პირი ითხოვს არქიტექტურული პროექტის საზოგადოებრივი (კომერციული და საოფისე) ფუნქციის მქონე სივრცეზე/ნაწილზე შემდგი მხარდამჭერი ღონისძიებების გამოყენებას:

- მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტებას 0.59 ერთეულით;
- არსებული არქიტექტურული პროექტით განსაზღვრულ კომერციული და საოფისე დანიშნულების 4 მიწისზედა სართულზე 1 სართულის დამატებას;
- კორექტირებული პროექტის შეთანხმებას სიმაღლის განმსაზღვრელი რეგულაციების გათვალისწინების გარეშე;
- წარმოდგენილი საპროექტო წინადადების ფარგლებში მიწის ნაკვეთის განაშენიანების კოეფიციენტის (კ-1) კონფიგურაციის ცვლილებას;

მომხსენებელმა დასძინა, რომ სსიპ ღევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნით, ქ. თბილისში, თამარაშვილის ქუჩა (იპოდრომის ტერიტორია)/თამარაშვილის ქ. N13-ში განთავსებული, N01.10.16.004.199 საკადასტრო კოდით

რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის 1 კვ.მ.-ის საბაზრო ღირებულება 2021 წლის 10 სექტემბრის მდგომარეობით საორიენტაციოდ შეადგენს 757 აშშ დოლარს, შესაბამისად მთლიანი 2321 კვ.მ. ფართის საბაზრო ღირებულება საორიენტაციოდ შეადგენს 1 757 000 აშშ დოლარს, რაც გაცვლითი კურსით (3.1157) ეროვნულ ვალუტაში შეადგენს 5 474 285 ლარს;

მომხსენებლის მითითებით, იმ შემთხვევაში, თუ კომისია შპს „გუმბათი ჰოლდინგის“ საპროექტო წინადადებას განიხილავს, როგორც დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის მხარდამჭერ ღონისძიებას და მიღებული იქნება შესაბამისი განკარგულებები, კომპანია გამოთქვას მზაობას, აანაზღაუროს მისამართებზე - ქ. თბილისი, შარტავას ქ. N3, შარტავას ქ. N1, პეტრე იბერის ქ. N6, კორპუსი 14, აკ.ბაქრაძის ქ N16, კოსმონავტების ქ. N45-47-49, ბოხუას ქ. N10, მარიჯანის ქ. N2 - არსებული სამშენებლო ობიექტების დასრულებისთვის სამშენებლო სამუშაოების ღირებულების ნაწილი, ჯამურად 787 760 ლარის ოდენობით.

მომხსენებელმა ასევე ისაუბრა კომისიის მიერ, 2021 წლის 15 ოქტომბრის სხდომაზე გამოთქმული შემდეგი მოსაზრებების შესახებ:

- შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ და მასთან აფელირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულების მიმართ არის მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი, შენობა-ნაგებობების დასრულებას და ექსპლუატაციაში მიღებას ელოდება ათასობით დაზარალებული პირი/ოჯახი, მათ შორის, ემიგრაციაში მყოფი მოქალაქეები, რომლებიც სამშობლოში ვერ ბრუნდებიან საცხოვრისის არქონის გამო;
- ქ. თბილისი, შარტავას ქ. N3, პეტრე იბერის ქ. N6, კორპუსი 14, აკ.ბაქრაძის ქ N16, კოსმონავტების ქ. N45-47-49, ბოხუას ქ. N10, - არსებულ სამშენებლო ობიექტებზე ჩასატარებელია მთელი რიგი სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები, რომ შეიქმნას ადგილობრივი მაცხოვრებლებისთვის შესაბამისი საცხოვრისი და უსაფრთხო გარემო;
- ქ. თბილისი, შარტავას ქ. N1-სა და მარიჯანის ქ. N2-ში ჩასატარებელია არსებული სამშენებლო ობიექტის სადემონტაჟო და ახალი სამშენებლო ობიექტის სამშენებლო სამუშაოები;
- თბილისის პროექტურის მიერ 2020 წლის 16 ოქტომბრის შესაბამისი წერილით წარმოდგენილი კლიენტთა სიის შესაბამისად საჭიროა კერძო პირთა ნაწილის მიმართ არსებული ფინანსური ვალდებულებების შესრულება,
- ზემომითითებულ მისამართებზე სამშენებლო ობიექტების დასრულებისა და ექსპლუატაციაში მიღებისთვის საჭირო ჩასატარებელი სამშენებლო სამუშაოების ნუსხისა და ხარჯთაღრიცხვის მიხედვით საჭიროა სოლიდური თანხის მობილიზება,

მომხსენებელმა დასძინა, რომ კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია, ქ. თბილისი, მიხეილ თამარაშვილის გამზირი N13თ მდებარე სამშენებლო ობიექტთან მიმართებაში წარმოდგენილი საპროექტო წინადადება განხილულ იქნას, როგორც შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ და მასთან აფელირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების მხარდამჭერი ღონისძიება და გაიცეს დადებითი რეკომენდაციები, ამასთან, შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ და მასთან აფელირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის ოდენობა განისაზღვროს შესაბამისი პრიციპით და საანგარიშო ფორმულით, ხოლო, ყოველივე მითითებულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ იმსჯელა და გადაწყვიტა, „შპს „ცენტრ პოინტი

ჯგუფს“ და შპს „გუმბათი ჰოლდინგს“, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობის შემთხვევაში, ზემომითითებულ მისამართებზე არსებული დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, მისამართზე - ქ. თბილისი, მიხეილ თამარაშვილის გამზირი N13თ არსებულ მიწის ნაკვეთზე მდებარე სამშენებლო ობიექტთან მიმართებაშიგანსაზღვროთ შემდეგი ხელშემწყობი ღონისძიებები:

- მოხდეს მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტება კ-2 – 4.1-დან 4.7 - მდე;
- კორექტირებული არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა მოხდეს საზოგადოებრივ სივრცეზე ერთი მიწისზედა სართულის დამატებით, სიმაღლის განმასზღვრელი რეგულაციების გათვალისწინების გარეშე;
- შპს „გუმბათი ჰოლდინგმა“ შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით თანხის 257 121 (ორას ორმოცდაჩვიდმეტი ათას ას ოცდაერთი) - აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში - გადარიცხვა განახორციელოს გადარიცხვის დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფი“, შპს „მარიჯანი, შპს „გეითვეი ჰოლდინგი“, შპს „დაკიდებული ბადები“, შპს „დილომი დისტრიქტ აფართმენტის“, ამხანაგობა „ახალი დილომი“, ამხანაგობა „თაბუკაშვილი 88“-ს და შპს „სიემსი“-ს შორის 2020 წლის 16 დეკემბერს გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით განსაზღვრული წესების და პირობების შესაბამისად;
- შპს „გუმბათი ჰოლდინგმა“ შესაბამისი თანხის გადარიცხვა განსაზღვრული მემორანდუმით გათვალისწინებული მიზნით შექმნილ სპეციალურ მიზნობრივ ანგარიშზე განახორციელოს მშენებლობის ნებართვის გაცემამდე. ამასთან, თანხის გადახდის ვადა არ უნდა ცდებოდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული ხელშემწყობი ღონისძიებების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებიდან არაუგვიანეს 6 თვის ვადას;
- კონკრეტული ვალდებულებების შეუსრულებლობა იწვევს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის შესაბამისი განკარგულებით გათვალისწინებული ხელშემწყობი ღონისძიებების გაუქმებას;
- შპს „გუმბათი ჰოლდინგმა“ მშენებლობის ნებართვის აღებამდე წარმოადგინოს სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა, რომლითაც დადასტურებულ იქნება, რომ გამოყენებული ხელშემწყობი ღონისძიებები არ იქონიებს გავლენას არსებული შენობა-ნაგებობის მდგრადობასა და უსაფრთხოებაზე.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ მიზანშეწონილად მიიჩნია, პროექტის მე-2 მუხლის ტექნიკურად გამართვა, შესაბამისი რედაქციით ჩამოყალიბების მიზნით.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

30. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისიურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ ლევან ქორქოლიანმა კომისიათა გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, სხდომის დღის წესრიგის, რიგით 30-ე საკითხად განსაზღვრული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, ქ. თბილისში, შარტავას ქ. N3 (ს/კ N 01.10.13.015.112), შარტავას ქ. N1 (ს/კ N 01.10.13.015.114), პეტრე იბერის ქ. N6, კორპუსი 14, (ს/კ N01.10.06.001.115), აკ.ბაქრაძის ქ N16 (ყოფილი მარშალ გელოვანის გამზირი N1ა-1ბ, დიღმის მასივის II კვარტლის მიმდებარედ, (ნაკვ. 25/29), (ს/კ N01.10.10.025.029), კოსმონავტების ქ. N45-47-49 (ს/კ N01.13.05.004.173, 01.13.05.004.059, 01.13.05.004.142), ბოხუას ქ. N10 (ს/კ N01.13.02.005.006), მარიჯანის ქ. N2 (ს/კ N01.14.03.039.007) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ (ს/კ 204460957) და შპს „ბი ეიჩ ეს გრუპ“-ის (ს/ნ 405432893) მიმართ, მისამართზე - ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქ. N6 (ს/კ N01.14.06.008.313) არსებულ მიწის ნაკვეთათან მიმართებაში ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხზე ქალაქ თბილისის საკრებულოს მიერ თანხმობის გაცემას, ამასთან, საკითხის მოწონების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის შესაბამის განკარგულებასთან ერთად წარმოდგენილია, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველ კომისიას შესაბამისი განცხადებებით მიმართეს შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფა“ და შპს „ბი ეიჩ ეს გრუპ“-მა და ითხოვეს მისამართებზე - ქ. თბილისი, შარტავას ქ. N3, შარტავას ქ. N1, პეტრე იბერის ქ. N6, კორპუსი 14, აკ.ბაქრაძის ქ N16, კოსმონავტების ქ. N45-47-49, ბოხუას ქ. N10, მარიჯანის ქ. N2 არსებული სამშენებლო ობიექტების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენება, ხოლო კომისიის მიერ, 2021 წლის 15 ოქტომბრის სხდომაზე, საკითხის განხილვის დროს გამოიკვეთა შემდეგი ფაქტორივი გარემოებები:

- კომისიამ გასცა დადებითი რეკომენდაციები შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ და მასთან აფელირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის მხარდაჭერი ღონისძიებების გამოყენების თაობაზე, მათ შორის იმ ობიექტებზეც, სადაც სადემონტაჟო/სამშენებლო სამუშაოები ფინანსური მხარდაჭერით უნდა განხორციელდეს და/ან მოხდეს კერძო პირთა მიმართ თბილისის პროკურატურის მიერ მოწოდებული კლიენტთა სიის შესაბამისად ფინანსური ვალდებულებების შესრულება. კერძოდ, შემდეგ მისამართებზე:

- ქ. თბილისი, შარტავას ქ. N3; ქ. თბილისი, პეტრე იბერის ქ. N6, კორპუსი 14, ქ. თბილისი, აკ. ბაქრაძის ქ N16; ქ. თბილისი, კოსმონავტების ქ. N45-47-49; ქ. თბილისი, ბოხუას ქ. N10; ქ. თბილისი, შარტავას ქ. N1; ქ. თბილისი, მარიჯანის ქ. N2, ყველა აღნიშნულ ობიექტზე მიმდინარეობს სხვადასხვა ტიპის სამუშაოები: როგორც ნებართვის აღების პროცედურები, ასევე, უშუალოდ სარემონტო/სადემონტაჟო/სამშენებლო სამუშაოები;

- შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფი“-ს მიერ ზემოაღნიშნულ ობიექტებზე დარჩენილი სამუშაოების დასრულებისა და შენობა-ნაგებობების ექსპლუატაციაში შესვლისათვის შპს „სი ემ სი“-სა და შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფს“, შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფთან“ აფელირებულ კომპანიებს შორის გაფორმდა წინასამშენებლო სამუშაოებისა და მშენებლობის

ზედამხედველობის შესახებ ხელშეკრულება, რის მიხედვითაც, შპს „სიემსი“, მათ შორის, შეასრულებს პროექტის მენეჯმენტს, წინასამშენებლო მომსახურებას, ასევე, მის კომპეტენციის ფარგლებში ყველა იმ მომსახურებას, რაც ხელშეკრულებებით არ არის გათვალისწინებული, თუმცა საჭიროა, რომ მოცემული პროექტი დასრულებულ იქნას დროულად და ხარისხიანად, მათ შორის ტენდერის ჩატარებას;

- შპს „სი ემ სი“-მ მოამზადა ზემოაღნიშნულ მისამართებზე არსებული სამშენებლო ობიექტების დასრულებისა და უსაპლუატაციაში მიღებისთვის საჭირო ჩასატარებელი სამშენებლო სამუშაოების წუსხა და ხარჯთაღრიცხვა, ხოლო, აღნიშნულ სამშენებლო ობიექტებზე სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების წარმართვისათვის, საჭიროა გარკვეული თანხების მობილიზება, რასთან დაკავშირებითაც, კომისიას განაცხადით და საპროექტო წინადადებით მიმართეს მიმართეს შპს „ბი ეიჩ ეს გრუპ“-მა და შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ და მასთან აფელირებული კომპანიების წარმომადგენელმა;

მომხსენებლის მითითებით, შპს „ბი ეიჩ ეს გრუპ“-ის საკუთრებაშია მისამართზე - ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქ. N6-ში არსებული 1178 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, რომელზეც ვრცელდება საზოგადოებრივი საქმიანი ზონა-1 (სსზ-1), გაცემულია მშენებლობის ნებართვა მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობის მიზნით და აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე: (კ-1) – 0.5; (კ-2) – 3.5; (კ-3) – 0.3; ამასთან, მიწის ნაკვეთზე, მიმდინარეობს მრავალფუნქციური კომპლექსის მოსამზადებელი სამუშაოები. შეთანხმებული პროექტით, მიმდინარეობს 9 (მიწისზედა) სართულით განვითარება. შეთანხმებული არქიტექტურული პროექტისა და მშენებლობის ნებართვის შესაბამისად, სამშენებლო ობიექტი მოიცავს 9 მიწისზედა სართულს, საიდანაც, მიწისზედა პირველი ნიშნულზე მდებარე სართულის სიმაღლე შეადგენს 6 მეტრს;

მომხსენებლის მითითებით, დაინტერესებული პირები, მხარდამჭერი ღონისძიებების ფარგლებში ითხოვენ, ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქ. N6 - ში არსებულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის და მშენებლობის ნებართვის ფარგლებში:

- მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის გადამეტებას - კ-2 – 3.5-დან 4.5 -მდე;
- კორექტირებული არქიტექტურული პროექტის შეთანხმებას და მშენებლობის ნებართვის გაცემას 1 მიწისზედა სართულის დამატებით. ამასთან, პირველ ნიშნულზე არსებული, 6 მეტრის სიმაღლის მქონე სართულის გაყოფას წარმოდგენილი ესკიზის შესაბამისად;
- არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისას არ იქნას გათვალისწინებული შენობის სიმაღლის განმსაზღვრელი მოქმედი ნორმები;
- არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისას არ იქნას გათვალისწინებული დამატებულ ფართზე ავტოსადგომების განმსაზღვრელი მოქმედი ნორმები;

მომხსენებელმა ასევე აღნიშნა, რომ სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნით, მისამართზე - ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქ. N6-ში არსებული 1178 კვ.მ. მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება 2021 წლის 14 სექტემბრის მდგომარეობით საორიენტაციოდ შეადგენს 530 100 აშშ დოლარს, რაც შესაბამისი გაცვლითი კურსით ეროვნულ ვალუტაში (3.11152) შეადგენს 1 651 368 ლარს;

მომხსენებელმა დასძინა, რომ იმ შემთხვევაში, თუ კომისია შპს „ბი ეიჩ ეს გრუპ“-ის საპროექტო წინადადებას განიხილავს, როგორც დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის

მხარდამჭერ ღონისძიებას დამიღებული იქნება შესაბამისი განკარგულებები, კომპანია გამოთქვამს მზაობას, აანაზღაუროს მისამართებზე - ქ. თბილისი, შარტავას ქ. N3, შარტავის ქ.N1, პეტრე იბერის ქ. N6, კორპუსი 14, აკ.ბაქრაძის ქ N16, კოსმონავტების ქ. N45-47-49, ბოხუას ქ. N10, მარიჯანის ქ. N2 - არსებული სამშენებლო ობიექტების დასრულებისთვის სამშენებლო სამუშაოების ღირებულების ნაწილი, ჯამურად 151429 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში.

მომხსენებელმა ისაუბრა კომისიის მიერ, 2021 წლის 15 ოქტომბრის სხდომაზე, გამოთქმული შემდეგი მოსაზრებების შესახებ:

- შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ და მასთან აფელირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულების მიმართ არის მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი, შენობა-ნაგებობების დასრულებას და ესპლუატაციაში მიღებას ელოდება ათასობით დაზარალებული პირი/ოჯახი, მათ შორის, ემიგრაციაში მყოფი მოქალაქეები, რომლებიც სამშობლოში ვერ ბრუნდებიან საცხოვრისის არქონის გამო;
- მისამართებზე - ქ. თბილისი, შარტავას ქ. N3, პეტრე იბერის ქ. N6, კორპუსი 14, აკ.ბაქრაძის ქN16, კოსმონავტების ქ. N45-47-49 ბოხუას ქ. N10, - არსებულ სამშენებლო ობიექტებზე ჩასატარებელია მთელი რიგი სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები, რომ შეიქმნას ადგილობრივი მაცხოვრებლებისთვის შესაბამისი საცხოვრისი და უსაფრთხო გარემო, ხოლო, მისამართებზე - ქ. თბილისი, შარტავას ქ. N1 და მარიჯანის ქ. N2 ჩასატარებელია არსებული სამშენებლო ობიექტის სადემონტაჟო და ახალი სამშენებლო ობიექტის სამშენებლო სამუშაოები, რომლებისთვისაც საჭიროა სოლიდური თანხის მობილიზება;
- თბილისის პროკურატურის მიერ 2020 წლის 16 ოქტომბრის შესაბამისი წერილით წარმოდგენილი კლიენტთა სიის შესაბამისად საჭიროა კერძო პირთა ნაწილის მიმართ არსებული ფინანსური ვალდებულებების შესრულება.

მომხსენებელმა დასძინა, რომ კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია, მისამართზე - ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქ. N6 -ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.14.06.008.313, ფართობი -1178 კვ.მ.) მდებარე სამშენებლო ობიექტთან მიმართებაში წარმოდგენილი საპროექტო წინადადება განხილულ იქნას, როგორც შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ და მასთან აფელირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების მხარდამჭერი ღონისძიება და გაიცეს დადებითი რეკომენდაციები, ხოლო, შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ და მასთან აფელირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის ოდენობა განისაზღვროს შესაბამისი პრინციპით და საანგარიშო ფორმულით, ხოლო, ყოველივე მითითებულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ გადაწყვიტა:

შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ (ს/კ 204460957) და შპს „ბი ეიჩ ეს გრუპ“ -ს (ს/ნ 405432893), ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობის შემთხვევაში, მისამართებზე - ქ. თბილისი, შარტავას ქ. N3 (ს/კ N 01.10.13.015.112), შარტავას ქ. N1 (ს/კ N 01.10.13.015.114), პეტრე იბერის ქ. N6, კორპუსი 14, (ს/კ N01.10.06.001.115), აკ.ბაქრაძის ქ N16 (ყოფილი მარშალ გელოვანის გამზირი N1a-18, დიღმის მასივის II კვარტლის მიმდებარედ, (ნაკვ. 25/29), (ს/კ N01.10.10.025.029), კოსმონავტების ქ. N45-47-49 (ს/კ N01.13.05.004.173, 01.13.05.004.059, 01.13.05.004.142), ბოხუას ქ. N10 (ს/კ N01.13.02.005.006), მარიჯანის ქ. N2 (ს/კ N01.14.03.039.007) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, მისამართზე - ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქ. N6 (ს/კ N01.14.06.008.313) არსებულ

მიწის ნაკვეთზე მდებარე სამშენებლო ობიექტთან მიმართებაში განესაზღვროთ შემდეგი ხელშემწყობი ღონისძიებები:

- მოხდეს მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტება კ-2 – 3.5 -დან 4.5 - მდე;
- კორექტირებული არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისას არ იქნას გათვალისწინებული მიწის ნაკვეთზე სიმაღლის განმსაზღვრელი და დამატებულ ფართობზე ავტოსადგომების რაოდენობასთან მიმართებაში არსებული მოთხოვნები;
- შპს „ბი ეიჩ ეს გრუპ“ -მა დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით თანხის - 151 457 (ას ორმოცდათერთმეტი ათას ოთხას ორმოცდაჩვიდმეტი აშშ დოლარის) ექვივალენტი ლარში - გადარიცხვა განახორციელოს გადარიცხვის დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფი“, შპს „მარიჯანი, შპს „გეითვე ჰოლდინგი“, შპს „დაკიდებული ბაღები“, შპს „დიღომი დისტრიქტ აფართმენტს“, ამხანაგობა „ახალი დიღომი“, ამხანაგობა „თაბუკაშვილი 88“-ს და შპს „სიემსი“-ს შორის 2020 წლის 16 დეკემბერს გაფორმებული ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმით;
- შპს „ბი ეიჩ ეს გრუპ“ -მა შესაბამისი თანხის გადარიცხვა განსაზღვრული მემორანდუმით გათვალისწინებული მიზნით შექმნილ სპეციალურ მიზნობრივ ანგარიშზე განახორციელოს მშენებლობის ნებართვის გაცემამდე. ამასთან, თანხის გადახდის ვადა არ უნდა ცდებოდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული ხელშემწყობი ღონისძიებების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებიდან არაუგვიანეს 6 თვის ვადას;
- კონკრეტული ვალდებულებების შეუსრულებლობა იწვევს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის შესაბამისი განკარგულებით გათვალისწინებული ხელშემწყობი ღონისძიებების გაუქმებას.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა, განკარგულების პროექტის სათაურის, პირველი პუნქტისა და მე-2 მუხლის ტექნიკურად გამართულობისა და შესაბამისი რედაქციით ჩამოყალიბების მიზანშეწონილობის საკითხებზე.

გადაწყვიტება:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უხლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინება:

31. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილემ – ვასულ აბულამემ, კომისიათა გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, კომისიის სხდომის დღის წესრიგის - რიგით 31-ე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, რაც ითვალისწინებს, „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის

შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის N33-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანას.

მომხსენებლის განმარტებით, „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციისა და რეგისტრაციიდან მოხსნის, პირადობის (ზინადრობის) მოწმობის, პასპორტის, სამგზავრო პასპორტისა და სამგზავრო დოკუმენტის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2011 წლის 27 ივლისის №98 ბრძანებით დამტკიცებულ წესისათვის 31³მუხლის დამატების შემდგომ, აღნიშნული მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით განისაზღვრა შემდეგი:

„ 1. თუ პირი პირადობის (ზინადრობის) ელექტრონული მოწმობის გაცემისას წარადგენს შესაბამის დოკუმენტს, რომლითაც დასტურდება, რომ აღნიშნული მოწმობის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღების მომენტში შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსი დადგენილი აქვს გადამოწმების გარეშე (უვადოდ) და არ აქვს შეჩერებული/შეწყვეტილი აღნიშნული სტატუსი, მასზე გასაცემ პირადობის (ზინადრობის) ელექტრონულ მოწმობაზე, მოთხოვნის შემთხვევაში, დაიტანება ინფორმაცია გადამოწმების გარეშე (უვადოდ) დადგენილი შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის შესახებ შესაბამისი კატეგორიის გათვალისწინებით (აღნიშვნა – „შშმ პირი. მკვეთრად გამოხატული“, „შშმ პირი. მნიშვნელოვნად გამოხატული“ ან „შშმ პირი. ზომიერად გამოხატული“ და პირადობის (ზინადრობის) ელექტრონული მოწმობის უკონტაქტო მიკროსქემაზე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსის შესახებ ინფორმაცია“.

მომხსენებელმა განაგრძო თხრობა და მიუთითა, რომ ზემოაღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, დღის წესრიგში დადგა წარმოდგენილი დადგენილების პროექტის შემუშავება, რაც მოწოდებულ იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის შესაბამისი განკარგულებით და ითვალისწინებს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99 დადგენილებაში შემდეგ ცვლილებებს:

- დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-11 მუხლის პირველ პუნქტი შედის ცვლილება, რის მიხედვითაც: საცნობი ნიშნის მისაღებად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი ვალდებულია წერილობითი ფორმით მიმართოს სააგენტოს და მას დაურთოს მისი კუთვნილი პირადობის (ზინადრობის) ელექტრონული მოწმობა, რომელზეც დატანილია აღნიშვნა „შშმ პირი. მკვეთრად გამოხატული“.
- ცვლილება ხორციელდება ამავე მუხლის მე-3 პუნქტი, რომლის მიხედვით საცნობი ნიშნის მისაღებად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის კანონიერი წარმომადგენელი ვალდებულია წერილობითი ფორმით მიმართოს სააგენტოს და მას დაურთოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის კუთვნილი პირადობის (ზინადრობის) ელექტრონული მოწმობა, რომელზეც დატანილია აღნიშვნა „შშმ პირი. მკვეთრად გამოხატული“.

ვასილ აბულაძემ ასევე დასმინა, რომ პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი სახსრების გამოყოფას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

32. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილემ – ვასულ აბულაძემ, კომისიათა გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, კომისიის სხდომის დღის წესრიგის - რიგით 32-ე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, რაც ითვალისწინებს, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სამგზავრო გადაყვანის მომსახურების ინტეგრირებული სისტემის დანერგვის, რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (M2 და M3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის გაცემის ფასის განსაზღვრის, ნებართვის მაძიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის გამოვლენის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობებისა და ნებართვის გაცემის ფასის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-82 დადგენილებაში ცვლილებების განხორციელებას, რაც გულისხმობს:

▪ დადგენილებით დამტკიცებულ წესში მობილური კომუნიკაციის საშუალების ცნების განმარტებასა და უშუალოდ მარშრუტზე მოძრაობისას მძღოლის მიერ მობილური კომუნიკაციის საშუალებით სარგებლობის აკრძალვას, გარდა „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული გამონაკლისი შემთხვევებისა.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ დადგენილების პროექტი მოწონებულ იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის შესაბამისი განკარგულებით, ამასთან, დასპინა, რომ აღნიშნული პროექტი, სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ გაეგზავნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სამგზავრო გადაყვანის მომსახურების ნებართვის მფლობელებს, - შპს „თბილ ლაინს“, შპს „კაპიტალ გრუპს“, შპს „თბილ ქარს“ და შპს „ფაქლიქ ქარს“. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, აღნიშნული პროექტის მიმართ მათ შენიშვნები არ გააჩნიათ.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

33. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილემ – ვასილ აბულაძემ, კომისიათა გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, კომისიის სხდომის დღის წესრიგის - რიგით 33-ე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, რაც ითვალისწინებს, „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამართალდარღვევისას (რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M3 კატეგორიის ავტობუსით მგზავრების უბილეთო

მგზავრობა, აგრეთვე ათიდან თექვსმეტი წლის ასაკამდე ბავშვების უბილეთოდ წაყვანა) საჯარიმო ქვითრის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შედგენის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგების, გასაჩივრებისა და ზემდგომ ორგანოში გადაგზავნის წესის დამტკიცების „შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-70 დადგენილებაში ცვლილებების შეტანას, კერძოდ:

■ დადგენილების მე-2 პუნქტით დამტკიცებული საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამართალდარღვევისას (რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M3 კატეგორიის ავტობუსით მგზავრების უბილეთო მგზავრობა, აგრეთვე ათიდან თექვსმეტი წლის ასაკამდე ბავშვების უბილეთოდ წაყვანა) საჯარიმო ქვითრის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შედგენის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგების, გასაჩივრებისა და ზემდგომ ორგანოში გადაგზავნის წესის მე-3 მუხლის მე-4 პუნქტისა და მე-4 მუხლის მე-6 პუნქტის ახალი რედაქციით ჩამოყალიბებას, რაც, გულისხმობს შემდეგს:

■ დადგენილების მოქმედი რედაქციის მითითებულ ნორმებს ემატება ჩანაწერი - „გარდა 16-დან 18 წლამდე არასრულწლოვანისა, რომლის ავტობუსიდან ჩამოყვანის უფლებამოსილება თანამშრომელს არ გააჩნია“, რაც განპირობებულია იმ გარემოებით, რომ: საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათ კოდექსის მე-13 მუხლი ადგენს ასაკს, რომლის მიღწევის შემდეგ დგება ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა, კერძოდ, „ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა ეკისრებათ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის მომენტისათვის თექვსმეტი წლის ასაკს მიღწეულ პირთ“. ამასთან, ვინაიდან, 16-დან 18 წლამდე პირები არიან არასრულწლოვნები, მათი ინტერესების გათვალისწინებით მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული ზემოაღნიშნულ წესში აღინიშნოს, რომ არასრულწლოვნის ავტობუსიდან გაჩერებაზე ჩამოყვანის ანუ მისთვის მგზავრობის შეწყვეტის უფლებამოსილება თანამშრომელს არ გააჩნია.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ, შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია“-ს წარედგინა დადგენილებაში განსახორციელებელი ცვლილებები, ხოლო, აღნიშნული კომპანიისათვის დადგენილების პროექტი მისაღებია და შენიშვნები არ აქვთ.

ვასილ აბულამედ დასმინა, რომ პროექტი მოწონებულ იქნა ქალაქ თბილისის მთავრობის მიერ, შესაბამისი განკარგულებით და მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული ქალაქ თბილისის საკრებულოსთვის წარმოდგენა კანონმდებლობით დადგენილი წესით, ამასთან მიუთითა, რომ მისი მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან და მისი ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე, ხოლო, დამტკიცების შემთხვევაში ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.


იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგით
გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ სხდომა
დაბურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე



ლევან ქორქოლიანი

სხდომის მდივანი



თამთა კაკოიშვილი